სკოლას შემუშავებული არ აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, შესაბამისად არ არის გაწერილი მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები (არც დამოუკიდებელი დოკუმენტის სახით არსებობს). სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით, თვითშეფასებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციით (სკოლის ფილოსოფიის რევიზიის გეგმა, პასუხისმგებელი პირები) დგინდება, რომ დაწესებულებას დაგეგმილი აქვს სკოლის ფილოსოფიის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების შემუშავება, სადაც განისაზღვრება მონიტორინგის ვადები, ინტენსივობა, პასუხისმგებელი პირები. მოცემულ ეტაპზე,

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 05.08.2023-18.10.2023 პერიოდში განხორციელდა სკოლის შვიდწლიანი სტარტეგიული გეგმის შემუშავება, რომელშიც საუბარია მონიტორინგის და შეფასების მექანიზმებზე. სკოლას არ აქვს სტრატეგიული დაგეგმარების დამოუკიდებელი მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს მონიტორინგის და შეფასების მკაფიოდ გაწერილ მექანიზმებს.

<u>ინდიკატორია მეტწილ შესაბამისობაშია.</u>

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლას არ აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, სადაც სასკოლო საზოგადოების და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი იქნება გათვალისწინებული. როგორც გასაუბრებით და სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტიდან ჩანს, დაწესებულება გეგმავს კრიტერიუმების შემუშავებას, რომლებზე დაყრდნობითაც მოხდება მონიტორინგისა და შეფასების პროცესის განხორციელება; დაწესებულება მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გაითვალისწინებს სკოლის თანამშრომელთა ანგარიშებს, დირექციის დაკვირვების შედეგებს, ზეპირ ინტერვიუებს და ა. შ .

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 05.08.2023-18.10.2023 პერიოდში განხორციელდა სკოლის შვიდწლიანი სტარტეგიული გეგმის შემუშავება, რომელშიც საუბარია მონიტორინგის და შეფასების მექანიზმებზე. არ არის წარმოდგენილი დამოუკიდებელი დაგეგმარების მეთოდოლოგია, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები და სასკოლო საზოგადოების და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის ფორმები. რადგან პირველადი ავტორიზაციაა, *<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>*

რჩევა: *სასურველია, სკოლამ დაგეგმარების მეთოდოლოგიაში, დეტალურად გაწეროს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები და სასკოლო საზოგადოების და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის ფორმები.*

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;

სკოლას არ აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა და მასზე დაფუძნებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, შესაბამისად არ არის მისი განხორციელების შედეგების საჯაროობა უზრუნველყოფილი. როგორც დირექციასთან გასაუბრებით სკოლის თვითშეფასებიდან ჩანს, დაწესებულება გეგმავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების გასაჯაროებისათვის სხვადასხვა მექანიზმების გამოყენებას, როგორც უშუალო შეხვედრების სახით, ასევე ელექტრონული ფორმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 05.08.2023-18.10.2023 პერიოდში განხორციელდა სკოლის შვიდწლიანი სტარტეგიული გეგმის შემუშავება, რომელშიც საუბარია მონიტორინგის და შეფასების მექანიზმებზე; კონკრეტულად სამოქმედო და სტარტეგიული გეგმების შესრულების ანგარიშების საჯაროობის საკითხზე. რადგან პირველადი ავტორიზაციაა *<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>*

რჩევა: *სასურველია, სკოლამ დაგეგმარების მეთოდოლოგიაში, დეტალურად გაწეროს სამოქმედო და სტარტეგიული გეგმების შესრულების ანგარიშების საჯაროობის საკითხები.*

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

სკოლას არ აქვს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების (იგულისხმება, სტრატეგიულ გეგმაზე დაფუძნებული) განხორციელების შედეგები., შესაბამისად არც მათ გამოყენების მაგალითი შემდგომი განვითარებისათვის. თვითშეფასების კითხვარით და სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ ახალი სასწავლო წლის მიზნების შემუშავების დროს გათვალისწინებული იქნება შეფასების, რეფლექსიების, უკუკავშირის შედეგები.
დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 05.08.2023-18.10.2023 პერიოდში განხორციელდა სკოლის შვიდწლიანი სტარტეგიული გეგმის შემუშავება, რომელშიც საუბარია გეგმის შუალედური და შემაჯამებელი შეფასების გამოყენების საკითხებზე. რადგან პირველადი ავტორიზაციაა, *<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>*

რჩევა: *სასურველია, სკოლამ დაგეგმარების მეთოდოლოგიაში, დეტალურად გაწეროს სამოქმედო და სტარტეგიული გეგმების შესრულების ანგარიშების შემდგომი გამოყენების საკითხები.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ.-ს ბრძანება ავტორიზაციის სტანდარტების მიმართულებით მომუშავე და პროცესზე პასუხისმგებელი ჯგუფის განსაზღვრის შესახებ.
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის ფილოსოფიის შესაბამისი მუშაობის გეგმა.
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი.
- სკოლის 2023-2024 წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სკოლის შვიდწლიანი სტარტეგიული გეგმა.

.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

სკოლის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი სახით: სამეურვეო საბჭო, დირექცია, პედაგოგიური საბჭო, საბაზო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობა, საგნობრივი კათედრები, ადმინისტრაცია, ტექნიკური პერსონალი, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, მრჩეველთა საბჭო. სკოლას არ აქვს გაწერილი ორგანიზაციული სტრუქტურის დოკუმენტი, მაგრამ სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია მოვალეობები წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა დოკუმენტში.
სამეურვეო საბჭო - შედგება 8 წევრისაგან: 4 მასწავლებელი 2 დაწყებითი საფეხურის წარმომადგენელი მშობლისგან და 2 საბაზო საფეხურის წარმომადგენელი მშობლისგან. სამეურვეო საბჭოში თავმჯდომარე და მდივანი არიან პედაგოგები.
დირექცია - წარმოდგენილია დირექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და ბუღალტრის სახით.
პედაგოგიური საბჭო შედგება 13 წევრისაგან. მათგან ერთი სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელია. პედაგოგიურ საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე და მდივანი.
საბაზო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობა შედგება სკოლის საბაზო საფეხურის კლასებიდან წარმოდგენილი მოსწავლეებისაგან. მოსწავლეები კლასებიდან არათანაბარი რაოდენობით არიან წარმოდგენილი. „ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად“ თვითმმართველობაში მოსწავლეები კლასებიდან თანაბარი რაოდენობით უნდა იქნას წარმოდგენილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დისციპლინური კომიტეტი შედგება პედაგოგიური საბჭოს არჩეული 2 მასწავლებლისაგან და სამეურვეო საბჭოს არჩეული 2 მშობლისაგან. კომიტეტს ჰყავს თავმჯდომარე და მდივანი.

სკოლაში ფუნქციონირებს სამი კათედრა:

- ჰუმანიტარული საგნების მასწავლებელთა კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც გაერთიანებული არიან სახელმწიფო ენისა და ლიტერატურის, რუსული ენის, ინგლისური ენის, ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებლისგან.
- საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებელთა კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც არიან: მათემატიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიისა და ისტ-ის მასწავლებლები.
- დაწყებითი საფეხურის კათედრა, რომლის შემადგენლობაში არიან I-IV კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებლები. 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სპორტისა და ფიზიკური აღზრდის, მუსიკის, ხელოვნებისა და ჭადრაკის მასწავლებლები არ არიან წარმოდგენილნი არც ერთ კათედრაში.

ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერთა ჯგუფი შედგება დირექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და საგნობრივი კათედრებიდან წარმოდგენილის 4 მასწავლებლისგან.

მრჩეველთა საბჭო წარმოდგენილია სკოლის დირექტორის მ/შ, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის, პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარის, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარის, დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარისა და რესურსცენტრის წარმომადგენლისაგან.

ადმინისტრაციის წარმომადგენელია საქმისმწარმოებელი, ხოლო ტექნიკურ პერსონალს წარმოადგენს ექთანი, დამლაგებელი, 2 დარაჯი, 2 ცეცხლფარეში.

სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები განსაზღვრულია „ ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის, ეროვნული სასწავლო გეგმის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის, სასკოლო სასწავლო გეგმისა და პერსონალთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ***რჩევა:*** *საბაზო საფეხურის თვითმმართველობის არჩევის დროს მოსწავლეები კლასებიდან თანაბარი რაოდენობით იქნას წარმოდგენილი.*
- ***რჩევა****: სასკოლო სასწავლო გეგმის შედგენის დროს კათედრებში განაწილებული იქნას ყველა საგანი.*

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სტრუქტურულ ერთეულებს შორის თანამშრომლობა საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით დასტურდება ერთწლიანი სამოქმედო გეგმით, სკოლის შინაგანაწესით, სკოლის პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებებით და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში გაწერილია სტრუქტურული ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის განაწილება. საგანმანთლებლო საქმიანობას ხელს უწყობს კათედრებს შორის თანამშრომლობა, სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიურ საბჭოს მიერ განხილული და დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმა. დისციპლინური კომიტეტის არჩევა, სკოლის შინაგანაწესის შემუშავება და სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარება, მრჩეველთა საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები. დირექტორის მ/შ-ს მიერ სამეურვეო საბჭოსათვის წარდგენილი ანგარიში. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი.
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი.
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი
- საგნობრივი კათედრების ოქმები.
- სკოლის ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულება,
- დამლაგებლის ხელშეკრულება
- შეთანხმებული საშტატო განრიგი
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა (2022-2023 წწ)

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი. პერსონალის მართვის პროცესში ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორის მიერ შემუშავებული და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული შინაგანაწესით და პერსონალთან დადებული ხელშეკრულებებით, შინაგანაწესი არეგულირებს სამუშაოს ხანგრძლივობის, სამუშაო ადგილზე გამოცხადების, შრომის ანაზღაურების, შვებულების, შრომის პირობების დაცვის, წახალისების, დისციპლინური წარმოების საკითხებს, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის უფლებამოსილებას და ა.შ. ხელშეკრულებაში ასახული არის მხარეთა უფლება - მოვალეობები, შვებულების გაცემის წესი, სამუშაო ადგილი და დასვენების დრო, შრომის ანაზღაურების, ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა ა. შ . სკოლის პერსონალის მართვის პროცესი ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა დაცვით. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***

რჩევა: *სკოლამ სასურველია შეიმუშაოს პერონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი.*

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

სკოლას ამ ეტაპზე შემუშავებული არ აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. მაგრამ სკოლისათვის საჭირო კადრის შერჩევა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლა მაღალმთიან ტერიტორიაზე მდებარეობს და ამასთანავე მცირე კონტიგენტიანია, დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ფუნქციები დირექტორის არყოფნის დროს შეთავსებული აქვს ერთ-ერთ მასწავლებელს, ბიბლიოთეკარის ფუნქციები საქმისმწარმოებელს. სკოლაში მასწავლებლის ვაკანტური პოზიციის არსებობის შემთხვევაში არსებული ვაკანსია შეივსება შიდა კონკურსის საფუძველზე, საგნობრივი კათედრის ან კვალიფიკაციის გათვალისწინებით. როცა შიდა კონკურსი ვერ უზრუნველყოფს საკადრო დეფიციტის შევსებას, ცხადდება ღია კონკურსი.
სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია პედაგოგთა საჭიროებების დადგენა და პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;

სკოლა ახალი კადრების მოზიდვისა და დასაქმების დროს სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს ბრძანება N 174/ნ „ მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“. კონკურსის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება პედაგოგთა დასაქმების ვებგვერდზე teachersjob.ge. ექთნის კონკურსის გამოცხადების ინფორმაცია შეიცავს შემდეგ მონაცემებს: სკოლის დასახელება, ვაკანტური თანამდებობის დასახელება, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ინფორმაცია სამუშაო საათების შესახებ, შრომის ანაზღაურების შესახებ საკონტაქტო ინფორმაცია, სამუშაოს დაწყების თარიღი, განცხადების წარდგენის ბოლო ვადა. საკონკურსო კომისიაში შედიან კანონით განსაზღვრული პირები:

- საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის წარმომადგენელი;
- სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი;
- მასწავლებელთა პროფესიული კავშირის წარმომადგენელი;
- დამოუკიდებელი მოწვეული სპეციალისტი.

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. კომისიის მუშაობის შედეგები აისახება შესაბამის ოქმებში. სკოლას არ აქვს შემუშავებული ღია და შიდა კონკურსის წესი.

პერსონალთა პირად საქმეში გათვალისწინებულია ინფორმაცია პერსონალის განათლებისა და სამუშაო გამოცდილების შესახებ, მაგრამ არ არის წარმოდგენილი „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 21 მუხლის 1[2] პუნქტითა და მუხლი 33[1] გათვალისწინებული მოთხოვნა ნასამართლეობის შესახებ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ნასამართლეობის მოხსნისა ან გაქარწყლების შესახებ.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 05.08.2023 - 30.11.2023 პერიოდში პედაგოგების პირად საქმეებში ასახული იქნება კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო დოკუმენტაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

<u>ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.</u>

რჩევა: *სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს „პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი“, გააერთიანოს მასში ვაკანსიის კონკურსის წესი ან ჩამოაყალიბოს დამოუკიდებელი დოკუმენტის სახით.*

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სკოლის პერსონალთან. სკოლას ხელმძღვანელს აქვს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის სტატუსი, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით შტატით არ არის გათვალისწინებული დირექტორის მოადგილისა და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის პოზიცია. ხოლო ბიბლიოთეკარის პოზიციას ითავსებს საქმისმწარმოებელი. შრომითი ხელშეკრულებებით გათვალისწინებულია მასწავლებელთა სტატუსის შესაბამისი ვალდებულებები. სკოლას ამ ეტაპზე ჰყავს 12 უფროსი მასწავლებელი. ერთი სტატუსის არმქონე დაწყებითი საფეხურის პედაგოგი. ახალი სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა გეგმავს ვაკანსიის გამოცხადებას დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის შესარჩევად. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>***

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლაში არსებული კოლეგიალური ორგანოები საგანმანთლებლო საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის გუნდური მუშაობის პრინციპით ფუნქციონირებენ. პედაგოგიური საბჭო ირჩევს თავის წარმომადგენელს სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინურ კომიტეტში. სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებული და პედაგოგიურ საბჭოს მიერ დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს კათედრებს შორის კოორდინირებულ მუშაობას. საგნობრივი კათედრები ერთმანეთთან აქტიურად თანამშრომლობენ კურიკულუმის შემუშავების და სასწავლო აქტივობების განხორციელების პროცესში. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს სკოლაში დასაქმებული პირების წახალისების ფორმებს. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან დიდი მოცულობის სამუშაო შესრულებისათვის და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის სკოლა უფლებამოსილია გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

- მადლობის გამოცხადება;
- სიგელით დაჯილდოება;
- ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
- დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნა.

სკოლას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული „ეტალონთან“, რომელიც პერიოდულად აქვეყნებს ინფორმაციას სკოლის ღონისძიებების შესახებ. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს შეიმუშაოს წარმატებული გამოცდილების აღიარების მექანიზმები. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რჩევა: *სასურველია სკოლა ჰქონდეს წარმატებული გამოცდილების აღიარების და გაზიარების დამოუკიდებელი მექანიზმი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი პროცედურული მხარე.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ექთანსა და სკოლას შორის დადებული ხელშეკრულება.
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის შინაგანაწესი.
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის პერსონალის პირადი საქმეები.
- მასწავლებლის ვაკანტური პოზიციის შევსების მიზნით კონკურსის გამოცხადების ბრძანება.
- მასწავლებლის ვაკანტური პოზიციის შევსების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

თვითშეფასების დოკუმენტის და გასაუბრების შედეგების მიხედვით, სკოლა პერსონალის შეფასებისა და პროფესიული საჭიროებების დადგენის მიზნით მიმართავს დაკვირვების მეთოდს, მონიტორინგს და შეფასებას, შემდეგ კი გეგმავს მხარდამჭერ ნაბიჯებს. სკოლას სამოქმედო გეგმაში (2022-2023) გათვალისწინებული აქვს პედაგოგთა საჭიროების დადგენა და პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა. ამ ეტაპზე გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის საგნობრივი კათედრის წარმომადგენელი მასწავლებელთა საჭიროების დასადგენად ესწრება საგაკვეთილო პროცესს, უკუკავშირი მასწავლებელს მიეწოდება როგორც წერილობით, ასევე ზეპირი ფორმით. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება სკოლას წერილობითი ფორმით არ აქვს შემუშავებული. სხვა პერსონალის საჭიროების ანალიზი ძირითადად ემყარება პრაქტიკულ გამოცდილებას. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>***

რჩევა: *სკოლამ სასურველია შეიმუშაოს პერსონალის შეფასების და პროფესიული განვითარების მექანიზმები დამოუკიდებელი დოკუმენტის სახით ან გააერთიანოს პერსონალის მართვის დოკუმენტში.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;

სკოლას გასული წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული ჰქონდა პერსონალის დადგენილი საჭიროებების გათვალისწინებით ტრენინგებისა და სემინარების დაგეგმვა, ტრენინგ-სემინარებზე მიღებული ცოდნის კონსულტირება და პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა. პედაგოგების მონაწილეობას იღებენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მიერ ორგანიზებულ პროფესიულ ტრენინგებში. დადგენილი საჭიროებების გათვალისწინებით მასწავლებლები და ესწრებიან ტრენინგ კურსებს ; საჭიროებიდან გამომდინარე სკოლამ გადამზადებაში ხელი შეუწყო სკოლის ბუღალტერსაც. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>***

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

სკოლას აქვს პერსონალისათვის კარიერულ ზრდაში ხელშეწყობის გამოცდილება. მაგალითად, მასწავლებელთა კარიერული ზრდის ხელშესაწყობად სკოლა ჩართულია USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ პროექტში. ორგანიზებას უწევს პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების განხორციელებას. სკოლა ხელს უწყობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ტრენინგებზე პედაგოგთა დასწრებას. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თანამშრომლების ინტეგრაცია სამუშაო გარემოსთან ძირითადად პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე ხდება. ახალ თანამშრომელთან ფორმდება ხელშეკრულება, რომლის განუყოფელი ნაწილია სკოლის შინაგანაწესი. როგორც დირექციასთან და პერსონალთან გასაუბრებით ირკვევა, ახლად დასაქმებულ პედაგოგს სკოლაში ხვდება პოზიტიური გარემო, აცნობენ სკოლის ისტორიას, თემს, ორგანიზაციულ კულტურას; ხდება სკოლის შენობის და ტერიტორიის დათვალიერება, გამოცდილების გაზიარება. სკოლა გეგმავს შექმნას თანამშრომლის ინტეგრაციის მარეგულირებელი დოკუმენტი. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

რჩევა: *სასურველია სკოლამ შექმნას თანამშრომლების ინტეგრაციის მარეგულირებელი მექანიზმი*

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლის შინაგანაწესში გათვალისწინებული არის შრომით საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისთვის ანდა შრომითი ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისთვის წახალისების ფორმების გამოყენება, რაც შინაგანაწესით არის განსაზღვრული. სკოლამ დაუფინანსა ბუღალტერს განვითარებისათვის საჭირო ტრენინგ-კურსი. ამ ეტაპზე სკოლას სხვა მსგავსი ტიპის გამოცდილება არ აქვს, თუმცა იგეგმება განვითარებისათვის ინიციატივების წახალისება. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2022-2023
- გაკვეთილზე დასწრების უკუკავშირი
- პედაგოგთა მიერ გავლილი ტრენინგის ცნობები
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო შინაგანაწესი
- პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;

სკოლას ამ ეტაპზე შემუშავებული არ აქვს ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლაში ტარდება კათედრების შეხვედრები, დგება წლის სამოქმედო გეგმა, რომლის საფუძველზეც სკოლის დირექტორის შეიმუშავებს სასკოლო სასწავლო გეგმას შეათანხმებს სამეურვეო საბჭოსთან და განხილვის შემდეგ ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების დროს სკოლა ხელმძღვანელობს სასკოლო სასწავლო გეგმით. სემესტრის ბოლოს პედაგოგიურ საბჭოზე ხდება მიღწევების განხილვა და შედეგების ანალიზი. არსებული სიტუაციის გაუმჯობესების და რეკომენდაციის სამომავლოდ გათვალიწინების მიზნით. წლის ბოლოს პედაგოგიურ საბჭოზე ხდება პედაგოგებისა და სკოლის დირექტორის მიერ შემუშავებული ანგარიში. გაწეული სამუშაოს შესახებ რეკომენდაციები გათვალისწინებულია მომავალი სასწავლო წლის დაგეგმვისას.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 05.08.2023-18.10.2023 პერიოდში შემუშავებული იქნა ხარისხის დოკუმენტი, კონკრეტულად კი, გადმოგზავნილი დანართის მიხედვით „ხარისხის განვითარებისა და პროფესიულ მხარდაჭერის ჯგუფის დებულება“. სკოლამ უნდა შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც მკაფიოდ იქნება წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი.

<u>ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები დამოუკიდებელი დოკუმენტის სახით აღწერილი და იდენტიფიცირებული არ არის. პროცესულ მიდგომასთან და დაწესებულების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები გაწერილია სხვადასხვა დოკუმენტში. სკოლას აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, სასკოლო კურიკულუმი; ასევე „ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინტრუქცია“; მიმდინარეობს საქმისწარმოება. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

რჩევა: *სკოლას სასურველია სისტემური სახით აღწერილი და იდენტიფიცირებული ჰქონდეს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.*

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

სკოლის თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის საკითხს სკოლაში არეგულირებს შინაგანაწესი. სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში უზრუნველყოფს შინაგანაწესის სასკოლო საზოგადოებისათვის გაცნობას. შინაგანაწესი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. იგი არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა მოსწავლეთა, მასწავლებელთა და სხვა თანამშრომელთა დისციპლინური დევნა, დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები, დისციპლინური გადაცდომის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანო, განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესები. სკოლაში საჩივრების განხილვაზე პასუხისმგებელი არის სკოლის დისციპლინური კომიტეტი. დისციპლინური კომიტეტი 4 წევრით არის წარმოდგენილი, რომელთაგან ორი პედაგოგიური საბჭოს წარმომადგენელია, ორი - მშობლების. სკოლაში არ არის სააპელაციო კომიტეტი. საჩივრების განსახილველად სკოლას ჰყავს სამეურვეო საბჭო. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სკოლას პერსონალისა და მშობლის/კანონიერ წარმომადგენლის უფლებების დაცვის გაწერილი მექანიზმი დამოუკიდებელი სახით გაწერილი არ აქვს, მაგრამ სკოლის პერსონალთან და მშობლებთან / კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული არის ხელშეკრულებები, რომლებშიც გაწერილია მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხიმგებლობის წესი. გარდა ამისა სკოლაში არსებობს გადაწყვეტილებების გასაჩივრების და საჩივრების განხილვის სისტემა. სკოლაში შემოსული განცხადებების/ საჩივრების რეგისტრაცია და მათზე რეაგირება ხორციელდება სკოლის შინაგანაწესის და კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად. გარდა ამისა მოსწავლის მშობელსა და კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული არის ხელშეკრულება, რომლითაც რეგულირდება მშობლის/ კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის საკითხი. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი
- სკოლასა და მშობელს შორის დადებული ხელშეკრულება.
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი დისციპლინური კომიტეტის არჩევის შესახებ.
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის შინაგანაწესი
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის სამოქმედო გეგმა 2022-2023 წწ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023 სასწავლო წელი.
- საგნობრივი კურიკულუმი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

სკოლა მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას ახდენს სოციალური ქსელის საშუალებით, საერთო კრებებზე, მშობელთა კრებებზე, კრებებზე ხდება უკუკავშირის მიღებაც. სკოლამ მაისის თვეში შექმნა ვებ-გვერდი, რომლის ინტენსიურად გამოყენებას დაიწყებს მომავალი სასწავლო წლიდან. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის წარმომადგენლობითი ორგანოა სამეურვეო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის პედაგოგიური საბჭოს მიერ არჩეული 4 წევრი და მშობელთა წარმომადგენელი 4 წევრი: ორი დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა წარმომადგენელი მშობელი და 2 საბაზო საფეხურის მოსწავლეთა წარმომადგენელი მშობელი. ვინაიდან სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობას არ აწარმოებს საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა თვითმმართველობიდან წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში არ არის. პედაგოგიური საბჭოზე განიხილება სკოლის საგანანმანათლებლო საქმიანობისათვის მნიშვნელოვანი საკითხები. საბჭო ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას.

სკოლაში ფუნქციონირებს საბაზო საფეხურის მოსწავლეთა თვითმართველობა, მრჩეველთა საბჭო, რომლის წევრებიც არიან სკოლის წარმომადგენლები პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოდან, მოსწავლეთა თვითმმართველობიდან და დისციპლინური კომიტეტიდან. მრჩეველთა საბჭო დირექტორს აძლევს რეკომენდაციას სასკოლო საზოგადოების წევრების უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვის შესახებ. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი.
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმი.
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი.
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;

სკოლა თავის ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის მიზნით ქმნის საგანგებო შტაბს. სკოლამ შეიმუშავა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომლის გადამზადება დასტურდება სერტიფიკატით. იგი აღჭურვილია მეტალოდეტექტორით. უკონტაქტო დათვალიერებისათვის ბრძანებით განსაზღვრულია შესაბამისი სქესის მასწავლებლები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეო სათვალთვალო კამერები, კერძოდ დერეფანს აკონტროლებს ორი ვიდეოთვალი, შენობის ცენტრალურ შესასვლელში (ფოიეში) დამონტაჟებულია ასევე ორი ვიდეო კამერა, ხოლო შენობის წინა პერიმეტრს აკონტროლებს ერთი მოწყობილობა. ვიდეო კამერების საერთო რაოდენობა არის ხუთი. დაცული არ არის საქართველოს მთავრობის 2022 წლის 2 მარტის N101 დადგენილება „ ავტომატური ფოტო-და ვიდეოტექნიკის მახასიათებლებისა და მათი ექსპლუატაციის წესის, აგრეთვე იმ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელთა გარე პერიმეტრზე სავალდებულოა ავტომატური ფოტო- ან/და ვიდეოტექნიკის განთავსება/დამონტაჟების“ შესახებ მე-7 მუხლის პირველი პუნქტი. კონკრეტულად შენობის მთავარ შესასვლელს უნდა აკონტროლებდეს ორი ვიდეოკამერა, ხოლო სათადარიგო შესასვლელები ასევე უნდა კონტროლდებოდეს თითო ვიდეოკამერით.
ვიდეო სათვალთვალო სისტემის დათვალიერებაზე ბრძანებით განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი, რომელიც იმავდროულად უსაფრთხოებაზე არის პასუხისმგებელი.
სკოლას მიღებული აქვს ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 31 მარტის ბრძანება „ჭიათურა, სოფელ მეჩხურეთში 60 მოსწავლეზე გათვალისწინებული საჯარო სკოლის მშენებლობის ვარგისად აღიარების შესახებ“.

შენობაში გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით. შენობის ცენტრალურ შესასვლელში მოწყობილი არის სახანძრო სტენდი, სადაც ორი ცეცხლმაქრი არის განთავსებული, ხოლო ერთი ცეცხლმაქრი განთავსებულია დერეფნის ბოლოში. ოთახები აღჭურვილია კვამლის დეტექტორებით.
28.07.2023 წ. სკოლამ მიიღო სახანძრო უსაფრთოხების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი N184, რომლის რეკომენდაციის საფუძველზე გარე სახანძრო სისტემის წყალმომარაგებისათვის საჭიროა 54 ტონიანი წყლის რეზერვუარის მონტაჟი ან სახანძრო ჰიდრანტის მოწყობა.
სკოლაში გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, შესაბამისი ინვენტარით. სკოლას ჰყავს ექთანი.
სკოლას ჰყავს 2 დარაჯი. სკოლის ტერიტორია შემოღობილია. კონტროლდება შენობაში უცხო პირთა გადაადგილება, მაგრამ კონკრეტული პირი კონტროლისათვის გამოყოფილი არ არის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 05.08.2023-05.08.2024 პერიოდში შენობის გარე პერიმეტრზე დამონტაჟდება ვიდეო კამერები.
<u>ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.</u>

რჩევა

- *სკოლამ უნდა შეასრულოს 28.07.2023 სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი N184-ის საფუძველზე მიღებული რეკომენდაციები .*
- *სასურველია გამოყოფილი იყოს პირი, რომელიც შენობაში უცხო პირთა გადაადგილებაზე იქნება პასუხისმგებელი.*

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლაში არსებობს მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი. უსაფრთხოებიდან გამომდინარე სკოლას დარეგულირებული აქვს მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების კონტროლი, რათა დროულად მოახდინოს არგამოცხადებული მოსწავლის იდენტიფიცირება და მოახდინოს მშობლის ინფორმირება.
სკოლაში ბრძანებით არის განსაზღვრული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი გადამზადება და აქვს სერთიფიკატი. უკონტაქტო დათვალიერებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი სქესის პირი. უცხო პირთა გადაადგილება კონტროლდება მორიგე მასწავლებლების მიერ. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>***

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლა ფსიქოლოგიურ და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით გეგმავს და ახორციელებს სადამრიგებლო პროგრამას სასწავლო-სააღმზრდელო აქტივობებით: „პიროვნული, მორალური და სოციალური განვითარება, ბულინგი, ინტერნეტის სარგებელი და საფრთხე, ვიყოთ აქტიურები, ტოლერანტები, ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვა“. სკოლაში განხორციელდა პროექტი ადამიანების უფლებებისა და კიბერბულინგის შესახებ, რომლის მიზანიც არის მოსწავლეთა ინფორმირება მათი უფლებების, ფსიქოლოგიური და ემოციური უსაფრთხოების შესახებ. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სკოლას ჰყავს დამლაგებელი. შესყიდული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დასაცავად საჭირო ინვენტარი. სადამრიგებლო პროგრამა ითვალისწინებს მოსწავლეთა განათლებას ჰიგიენური ნორმების დაცვის შესახებ. სკოლის დერეფნებში დამონტაჟებული სადეზინფექციო ხსნარები, შესასვლელში განთავსებულია დეზობარიერი. სოციალური დასაქმების პროექტის ფარგლებში სკოლას დასაქმებული ჰყავს მეეზოვე და 2 დამლაგებელი. სკოლის შენობაში განთავსებულია სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისათვის, აგრეთვე ქალბატონებისა და მამაკაცებისათვის, არის ადაპტირებული სველი წერტილიც. სველი წერტილები აღჭურვილია საჭირო ინვენტარით. სასმელი წყალი სკოლას მოეწოდება რეზერვუარით, რომელიც მარაგდება ადგილობრივი წყლით. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლას ამ ეტაპზე შემუშავებული არ აქვს პერსონალურ მონაცემების დაცვის მექანიზმი. სკოლის პერსონალისა და მოსწავლეების პირადი საქმეები ინახება მესამე პირთათვის მიუწვდომელ ადგილას, სამასწავლებლოში კარადაში ჩაკეტილ მდგომარეობაში. მონაცემებზე პასუხისმგებელია დირექტორი, ბუღალტერი და საქმისმწარმოებელი. სკოლას პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი ბრძანებით განსაზღვრული არ ჰყავს. მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული არის ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს ორ მხარეს შორის ურთიერთობას. სკოლის ვიდეოკამერების სათვალთვალო სისტემის ეკრანი განთავსებული არის სამასწავლებლოში, სადაც პედაგოგებთან ერთად დირექციის / ადმინისტრაციის სამუშაო სივრცეა. კამერების დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირი განსაზღვრული არის, მაგრამ არ არის პერონალური ინფორმაცია დაცული და კამერების ინფორმაცია ხელმისაწვდომია.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 05.08.2023-17.10.2023 პერიოდში განხორციელდა ვიდეომონიტორინგის იზოლირებულ ოთახში მოთავსება და პერსონალური მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა. მტკიცებულების სახით წარმოდგენილი იქნა დირექტორის ბრძანება „პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასა და დაცვაზე უფლებამოსილი პირის შესახებ“ (16.10.23) და ფოტომასალა. საჭიროა, დამატებითი მტკიცებულება ვიდეომონიტორინგის იზოლირებულ სივრცეში განთავსების შესახებ, რადგან არსებული მასალა (ფოტოსურათი) არ იძლევა ნათელ სურათს შეცვლილი გარემოებების შესახებ.

<u>ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია</u>

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლა იყენებს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლას გადაცემული აქვს უკაბელო Wi-Fi. სკოლაში არსებულ კომპიუტერებზე გამოიყენება ლიცენზირებული პროგრამები. გამოყოფილი არის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც თვალყურს ადევნებს კომპიუტერული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას და ინფორმაციულ უსაფრთხოებას. სკოლა მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავს ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმის შემუშავებას. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც წლის განმავლობაში კანონმდებლობის შესაბამისად განიხილავს საკითხებს, რომლებიც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან და უსაფრთხოებასთან არის დაკავშირებული; მსჯელობს ღონისძიებებზე, პრევენციულ ნაბიჯებზე, რომლებიც ხელს შეუწყობს უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებას; ისმენს და განიხილავს დირექტორის მოხსენებებს აღნიშნულ საკითხებზე. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პედაგოგთა სადამრიგებლო პროგრამები
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება საგანგებო შტაბის შექმნის შესახებ
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.
- მიღება-ჩაბარების აქტი (Wi-Fi)
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის საშტატო განრიგი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ექთნის ხელშეკრულება
- დამლაგებლის ხელშეკრულება
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება უსაფრთხოების კამერების დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ 03.08.2023

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლა აშენებულია 2021 წელს. ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერის, 2021 წლის 31 მარტის ბრძანებით „ჭიათურა, სოფელ მეჩხურეთში 60 მოსწავლეზე გათვალისწინებული საჯარო სკოლის მშენებლობის ვარგისად აღიარების შესახებ“, სკოლა გათვლილია 60 მოსწავლეზე.

მიწის საკადასტრო კოდია N38.14.42.008. მიწის ფართობია 3000 კვ.მ. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მომზადებულია 27/07/2021 წელს. შენობის ფართობი არის 591.00 კვ.მ .

სკოლა არის ერთსართულიანი საკლასო ოთახების რაოდენობა არის 9, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ჩათვლით. ამჟამად, კლასები განთავსებული არის 7 ოთახში (I-III, II-IV კლასები გაერთანებული არის კლას-კომპლექტებში. ერთი საკლასო ოთახი რეზერვშია. სკოლას აქვს სამასწავლებლო (განთავსებულია დირექცია და პედაგოგები). სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე და არ არის რესურს ოთახი. შენობაში განთავსებული არის გოგონების და ვაჟების საპირფარეშოები (თითოეული ორი კაბინით და ხელსაბანით), ადაპტირებული სველი წერტილი, ასევე დამოუკიდებელი სველი წერტილები ქალი და მამაკაცი პედაგოგებისათვის (თითო უნიტაზით და ხელსაბანით) .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა არის განთავსებული ერთ ოთახში, რომელიც ორი სივრცედ არის გაყოფილი თაროებით და კარით; შენობაში არის ექიმის კაბინეტი, რომელიც კეთილმოწყობილია, აღჭურვილია ხელსაბანით და საჭირო ინვენტარით, გამოყოფილია არის სივრცე ფარდით, პაციენტის მისაღებად. სკოლაში არის ბუფეტისათვის განკუთვნილი ოთახი. დერეფნების ბოლოში განთავსებულია არის დამატებითი საევაკუაციო გასასვლელები. სკოლას არ აქვს სპორტული დარბაზი, მაგრამ სკოლის ეზოში განთავსებულია კეთილმოწყობილი სპორტული მოედანი. სკოლის ეზოში ასევე განთავსებულია საქვაბე (დიზელი) ბიო გამწმენდი. საქვაბეში განთავსებული არის გათბობის ქვაბი, ასევე გენერატორი, რომელიც ელექტროენერგიის არქონის შემთხვევაში სკოლის მომარაგებას უზრუნველყოფს.

ინვენტარიზაციის დოკუმენტით, სკოლაში მერხების რაოდენობა სკოლაში შეადგენს 88-ს ; კომპიუტერული ტექნიკა - 9 ერთეულია (5 პერსონალური კომპიუტერი და 4 ლეპტოპი): პერსონალური კომპიუტერები ლაბორატორიაში (3 ერთეული) და სამასწავლებლოში / ადმინისტრაციის სივრცეში (2 ერთეული) არის განთავსებული; 2 ლეპტოპი კომპიუტერულ ლაბორატორიაში დგას, დანარჩენით პერსონალი სარგებლობს. გარდა აღნიშნულისა, სკოლას გადაეცა კომპიუტერული ტექნიკა, რომელზეც ჯერ არა აქვს მიღება -ჩაბარების აქტი; სკოლაში არის 5 ცალი პროექტორი მუშა მდგომარეობაში (1 არამოქმედიც), 4 ცალი პრინტერი, მათ შორის ერთი ფერადი.

საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში წარმოდგენილი არის ხელსაწყოები (ამპერმეტრი , ჰიდრავლიკური წნეხი და სხვა), ქიმიური რეაქტივები და ა. შ. წარმოდგენილი მასალები არის მწირი და საჭიროებს შევსებას.

სკოლის ბიბლიოთეკის წიგნთა აღრიცხულია კატალოგში, მატერიალური სახით, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად: მინიჭებული აქვთ ნომერი და აღნიშნულია ბეჭდით. ინვენტარიზაციის მიხედვით, სკოლის ბალანსზე არის 31 ერთეული წიგნი (მხატვრული, სამეცნიერო); დანარჩენი წიგნები სოფლის ბიბლიოთეკის დახურვის შემდეგ გადაეცა სკოლას, ისინი ასევე არის აღრიცხული კატალოგში, მაგრამ არ არის გატარებული ინვენტარიზაციაში. ბიბლიოთეკაში ინახება ასევე გრიფირებული სახელმძღვანელოები,

სკოლის ბალანსზე არის ხელოვნურსაფარიანი ღია სპორტული მოედანი, რომელიც შენობის ეზოში არის განთავსებული, აღჭურვილია რკინის ფეხბურთის კარებითა და კალათბურთის ფარებით.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 05.08.2023-05.08.2024 პერიოდში მოხდება სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების მოწყობა და აღჭურვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

<u>ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია</u>

რჩევა: *სასურველია, განისაზღვროს სკოლის ბიბლიოთეკაში არსებული სოფლის ბიბლიოთეკიდან გადაცემული წიგნადი ფონდის მფლობელობის საკითხი.*

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით სარგებლობა შეუძლია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. სპორტული მოედანი, კომპიუტერული ლაბორატორია ყველასათვის ხელმისაწვდომია. სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი „საზიარო სამუშაო სივრცეები სკოლაში“, რომლითაც განსაზღვრული არის კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესები, დროები და პასუხისმგებელი პირები. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>***

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგები ზრუნავენ, რომ რესურსები თანაბრად იყოს ყველა მოსწავლისათვის ხელმისაწვდომი. სკოლის მთავარ შემოსასვლელთან განთავსებულია პანდუსი. მოცემულ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლეები. სკოლაში არის ადაპტირებული საპირფარეშო. ამ ეტაპზე, საჭიროების არარსებობის გამო, რესურსოთახი სკოლაში არ არის, მაგრამ დირექციის თქმით, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სივრცის გამოყოფა. სკოლას შემუშავებული აქვს „ინკლუზიური განათლების განვითარების და გაძლიერების სამოქმედო გეგმა“, სადაც გათვალისწინებული არის ინკლუზიური გარემოს რესურსებით უზრუნველყოფის საკითხი. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რჩევა: *სასურველია სკოლამ შეარჩიოს სივრცე რესურსოთახისათვის, პრევენციული მიზნით.*

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა ქმნის სოციო-კულტურულ სივრცეს. მოსწავლეებს საშუალება აქვთ ადგილზე ისარგებლონ სამკითხველო სივრცით, საჭიროების შესაბამისად, შეძლონ კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება და ინტერნეტით სარგებლობა. სპორტული მოედანი კეთილმოწყობილია. სკოლაში არ არის სივრცე სააქტო დარბაზისათვის, ამიტომ შესასვლელ სივრცეს იყენებენ კულტურული ღონისძიებებისათვის. სოციო -კულტურული ურთიერთობებისათვის მოსწავლეები იკრიბებიან კომპიუტერულ ლაბორატორიაში, საკლასო ოთახებში, სპორტულ მოედანზე და ა. შ. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არის ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგიის მწირი რესურსები. სპორტისა და ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების სრულფასოვნად ჩატარებისათვის სკოლას აქვს ბურთები, რაგბის ინვენტარი, ჭადრაკის დაფა.
ისტორია - გეოგრაფიისათვის არის რუკები, ასევე სკოლას შეძენილი აქვს პლაკატები. ყველა საკლასო ოთახში განლაგებულია დაფები. პრორექტორებისა და ლეპტოპების რაოდენობა საჭირო ონლაინრესურსის მოძიების საშუალებას იძლევა. სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით. საჭიროების შემთხვევაში იყენებენ სხვა დამხმარე ლიტერატურასაც. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- შენობა-ნაგებობის აზომვითი ნახაზი
- მიღება -ჩაბარების აქტი , ჭიათურის მუნიციპალიტეტი
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკარის ანგარიში
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის წიგნების კატალოგი.
- ინტერვიუ ბიბლიოთეკართან, პედაგოგებთან.
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის დებულება.
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის კომპიუტერული ტექნოლოგიების სამოქმედო გეგმა
- საინვენტარიზაციო აღწერილობა 01.01.2023 მდგომარეობით, სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლა.
- Eschool -ის ბაზა
- ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერის, 2021 წლის 31 მარტის ბრძანება „ჭიათურა, სოფელ მეჩხურეთში 60 მოსწავლეზე გათვალისწინებული საჯარო სკოლის მშენებლობის ვარგისად აღიარების შესახებ“,
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

სკოლის კომპიუტერულ ლაბრატორიაში განლაგებულია ინტერნეტ ქსელში ჩართული 3 კომპიუტერი და 2 ლეპტოპი, სკოლა უზრუნველყოფილი არის უკაბელო Wi-Fi -ის ქსელით, 2 პრინტერი და პროექტორი. დანარჩენი კომპიუტერული ტექნიკით და პრინტერით სარგებლობენ სკოლის ადმინისტრაცია და მასწავლებლები. სკოლის ადმინისტრაცია მართვის პროცესში იყენებს კომპიუტერულ ტექნოლოგიებს და ინფორმაციის გაცვლის ელექტრონულ სისტემებს. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

მასწავლებელი. სკოლაში ინფორმაციული ტექნოლოგიები გამოიყენება ინტერაქტიური და მრავალფეროვანი სასწავლო პროცესის წარსამართავად, კომპიუტერული ტექნოლოგიების ოთახში იმართება გაკვეთილები. სკოლაში დანერგილია ელექტრონული ჟურნალი, რომელიც მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის ინფორმაციის მიღების საშუალებას წარმოადგენს. კომპიუტერულ ლაბორატორიას პედაგოგები იყენებენ ინტერაქტიური გაკვეთილების ჩასატარებლად, მოსწავლეები იძიებენ საჭირო ინფორმაციას და ა. შ ლაბორატორიით სარგებლობა შეუძლია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა და საზიარო სამუშაო სივრცეების გამოყენების წესი . ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის ციფრული განვითარების გეგმა
- მიღება-ჩაბარების აქტი
- საინვენტარიზაციო აღწერილობა 01.01.2023 მდგომარეობით, სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლა.
- რეგულაცია „საზიარო სამუშაო სივრცეები სკოლაში“

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

სკოლას შემუშავებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი. სკოლაში ამ ეტაპზე არ არის შემოსული და გასული დოკუმენტაციის მატერიალური რეგისტრაციის ჟურნალი; მოქმედებს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მატერიალური ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი. ინფორმაციის გაცემა მიმდინარეობს შემოსული განცხადების საფუძველზე. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

რჩევა : *სკოლაში უნდა მოხდეს მატერიალური დოკუმენტაციის აღრიცხვის მოწესრიგება.*

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

სკოლის მართვაში გამოიყენება Eflow და eSchool-ის პროგრამები, შემოსული და გასული დოკუმენტაცია წარმოებს ელექტრონულად. სკოლა იყენებს Microsoft 365 -ის პლატფორმას, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისათვის, მშობლისა და მასწავლებლისათვის შექმნილი არის ანგარიშები. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი სკოლას აქვს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. დირექციას დროულად ახდენს Eschool-ის ბაზაში საჭირო ინფორმაციის განახლებას. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

სკოლა იცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებს ანგარიშების, უკუკავშირის და საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან თანამშრომლობის დროს. 10 დეკემბერამდე წარუდგენს ანგარიშს პრეზიდენტის, პრემიერმინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარისათვის წარსადგენს ინფორმაციას საჯარო ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებით. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის საქმისწარმოების წესი
- Eschool-ის ბაზა, Eflow.
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის 10 დეკემბრის ანგარიშები

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

სკოლის ვებგვერდის მისამართია mechkheturischool.edu.ge. ვებგვერდი ახლად შექმნილია და ჯერჯერობით დამუშავების პროცესშია. სკოლას საზოგადოების ინფორმირებისთვის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული „ეტალონთან“. რომელიც თავის გვერდზე etaloni.ge პერიოდულად აქვეყნებს ინფორმაციას სკოლაში ჩატარებული ღონისძიებებისა და სიახლეების შესახებ. სკოლა სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობს სოციალური ქსელის Facebook-ის საშულებით. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>***

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლას არ ჰყავს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაციის სანდოობაზე ოფიციალურად პასუხისმგებელი პირი, მაგრამ დირექტორის მ/შ ითავსებს ამ ფუნქციას; ამოწმებს ნებისმიერ ინფორმაცის, რაც სასკოლო საზოგადოებას ეხება და მხოლოდ ამის შემდეგ ახდენს გასაჯაროებას. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

სკოლა უკუკავშირს იღებს მშობელთა კრებების და სოციალური ქსელის საშუალებით; მშობელთა კრებებზე ხდება მოსწავლეთა მშობლების მოსაზრებების მოსმენა. სკოლის წარმომადგენლობა უკუკავშირის შედეგებს იყენებს საკუთარი საქმიანობის გასაუმჯობესებლად. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

სკოლამ 2023 წლის მაისში შექმნა ვებ.ვერდი. ვებ.გვერდის მისამართია mechkheturischool.edu.ge ამ ეტაპზე მხოლოდ სკოლის მოკლე ინფორმაციაა განთავსებული. სექტემბრიდან იგეგმება ვებგვერდის სრულყოფა და აქტიური გამოყენება. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების , სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებისთანავე განათავსებს ვებ-გვერზე საზოგადოების ინფორმირებისა და საჯაროობის უზრუნველყოფისათვის.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 05.08.2023-18.10.2023 პერიოდში სკოლის ვებგვერდზე (ვებგვერდის ბმული) **განთავსდა მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული გეგმები.**

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

რჩევა: *უნდა მოხდეს სკოლის ვებგვერდზე წარმოდგენილი ინფორმაციის სრულყოფა, მოცემული ინდიკატორის შესაბამისად*

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებმისამართი : mechkheturischool.edu.ge
- ეტალონთან გაფორმებული ხელშეკრულება
- ვებ.გვერდის შექმნასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

სკოლის ფინანსური რესურსი მიმართულია სამოქმედო გეგმის განხორციელებისკენ. სკოლის ბიუჯეტის პროექტის შემუშავების დროს გათვალისწინებულია სავარაუდო შემოსავლები ხოლო ხარჯების განსაზღვრისას განსაზღვრულია სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული პრიორიტეტები. ბიუჯეტის დამტკიცებაში მონაწილეობას იღებენ სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები, წარმოდგენილნი სამეურვეო საბჭოში. სკოლას დამტკიცებული აქვს შესყიდვების წლიური გეგმა. საჭიროების შემთხვევაში ხდება ბიუჯეტისა და შესყიდვების გეგმის კორექტირება. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ბიუჯეტის დაგეგმვაში მონაწილეობას იღებს სასკოლო საზოგადოება, თანხების განკარგვა ხდება ბიუჯეტის მიხედვით, რომელსაც მონიტორინგს უწევს სამეურვეო საბჭო. ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა ხდება სამეურვეო საბჭოს თანხმობის შემთხვევაში. ყოველი წლის ბოლოს სკოლა სამეურვეო საბჭოს აბარებს ფინანსურ ანგარიშს. წლის მანძილზე პერიოდულად ხდება ფინანსური ანალიზის ჩატარება, ინტენსიურად მიმდინარეობს შემოსავლებისა და გასავლების კონტროლი სკოლის დირექტორის მ/შ -ს მხრიდან. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებასთან დაკავშირებით
- კორექტირებული ბიუჯეტი
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის შესყიდვების გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც სამეურვეო საბჭოს მიერ არის დამტკიცებული. შინაგანაწესში განსაზღვრული არის მოსწავლეთა დისციპლინური წარმოების წესი, წახალისების ფორმები და ა. შ . დოკუმენტში ჩადებული არის გასაჩივრების მექანიზმები. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს „ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია“, რომელიც ძალადობის ყველა ფორმისაგან ბავშვის დაცვის მექანიზმს წარმოადგენს და დაფუძნებული არის საქართველოს კონსტიტუციაზე და „ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციაზე“. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები დამტკიცებული არის დირექტორის ბრძანებით და განსაზღვრული არის ამ პროცესზე პასუხისმგებელი პირი. სასწავლო წლის დამდეგს მშობლებსა და სკოლას შორის, ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გაფორმებული არის ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს და სკოლას შორის არსებულ ურთიერთობებს და ემსახურება მოსწავლის ინტერესების დაცვას და სასკოლო მიზნების მიღწევის ხელშეწყობას. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმართველობა, რომელშიც საბაზო საფეხურის მოსწავლეები არიან გაერთიანებულნი. აღნიშნულიდან ჩანს, რომ სკოლას აქვს მოსწავლის დისკრიმინაციიდან დაცვის მექანიზმები, უზრუნველყოფილია მათი მონაწილეობა თვითმმართველობაში, ფუნქციონირებს დისციპლინასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირების მექანიზმები და *ა. შ.* ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის: სკოლის შინაგანაწესი დამტკიცებული არის სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ და მისი საჯაროობა უზრუნველყოფილია, კერძოდ კი გამოქვეყნებული არის დაწესებულების მთავარ შესასვლელში; დაწესებულების დერეფანში, სტენდზე, ასევე გამოქვეყნებულია „ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია“ და დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომია. სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, ასევე ცხადი ხდება, რომ ხელშეკრულებაზე ხელისმოწერით მშობელი ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს. გარდა ამისა , სასკოლო სასწავლო გეგმაში დამრიგებლის მოვალეობებს შორის განსაზღვრული არის სკოლის შინაგანაწესის გაცნობა. სკოლას აქვს ვებგვერდი, რომელზე მუშაობაც ჯერ კიდევ არ არის დასრულებული და როგორც დირექციასთან გასაუბრებით ირკვევა, სკოლის ადმინისტრაცია გეგმავს, რომ ვებგვერდის გამოყენებით მნიშვნელოვანი დოკუმენტების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოს. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

მშობელთან / მის კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული არის ხელშეკრულება, რომლის მიზანიც არის ორ მხარეს შორის წარმოშობილი ურთიერთობების დარეგულირება; ხელშეკრულებაში გაწერილი არის ნომერი , თარიღი, ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლება-მოვალეობანი, პასუხისმგებლობები, მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები, სხვა პირობები. ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ მხარეებს ევალებათ სკოლის შინაგანაწესის დაცვა. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის შინაგანაწესი
- „ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია“
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.
- მშობელსა და სკოლის დირექტორს შორის გაფორმებული ხელშეკრულება
- მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმი N 1 (2022 წ.)
- სასკოლო სასწავლო გეგმა, 2022-2023 სასწავლო წლები.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, რომ მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის დროს სკოლა იცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პროცედურებს. სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა პირველ კლასში რეგისტრაციას, მობილობას, სტატუსის შეჩერებას, საფეხურის დაძლევას შესაბამისი საკანონმდებლო მექანიზმების დაცვით. აღსანიშნავია, რომ გასაახლებელია ბრძანების შაბლონი და 2011 წლის 7 მარტის ბრძანების „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ნაცვლად, დოკუმენტებში მითითებული იქნას 2017 წლის 11 იანვრის 04/ნ ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვის და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ . ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რჩევა: *მოსწავლეთა ჩარიცხვის გრძანების ფორმის შესწორება არის საჭირო (დოკუმენტზე მითითებული საკანონმდებლო ნორმა) .*

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

სკოლა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების პროცედურებს. მოსწავლის ჩარიცხვა მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე ხორციელდება. პირველ კლასში მოსწავლეთა რეგისტრაცია ხდება ელექტრონულად; თუკი მოსწავლე გადმოდის მობილობით, სკოლის ადმინისტრაცია მოსწავლის გამშვებ სკოლას უგზავნის მოთხოვნას და მისგან იღებს დასტურს. მოსწავლის მიერ საფეხურის დაძლეულად ითვლება, თუკი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად მისი ქულა არის 5 და მეტი. მოსწავლეთა მიერ შესაბამისი კლასის, დაწყებითი საფეხურის, საბაზო საფეხურის დაძლევის და კლასიდან კლასში გადაყვანის შესახებ საკითხი განიხილება პედსაბჭოს სხდომაზე. მოსწავლის სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის დროს სკოლა ეყრდნობა არსებულ საკანონმდებლო მექანიზმებს. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლა მოსწავლის მშობლებს / კანონიერ წარმომადგენლებს სასწავლო წლის დასაწყისში აცნობს ინფორმაციას შინაგანაწესის შესახებ; სკოლის შინაგანაწესი და სასკოლო სასწავლო გეგმა გამოკრული არის თვალსაჩინოდ შენობის შესასვლელში და სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეებისათვის ხელმისაწვდომია. სკოლა აწვდის ინფორმაციას სასკოლო საზოგადოებას მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების შესახებ. მაგალითად, მე-5 კლასიდან სკოლა ირჩევს მეორე უცხო ენას. მოსწავლის მშობლის/ კანონიერი წარმომადგენლის მოსაზრების გაგების მიზნით ჩატარდა მშობელთა კრება; ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მათ მისცეს წერილობითი თანხმობა კლასში კონკრეტული უცხო ენის არჩევის შესახებ. სკოლას არ აქვს ფასიანი მომსახურება. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია აქტივობების, სერვისების, პროგრამების, რესურსების შესახებ გამჭვირვალეა; როგორც ადმინისტრაციასთან გასაუბრებით და სკოლის თვითშეფასებით იკვეთება, სკოლა ზრუნავს იმაზე, რომ მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია იყოს ობიექტური და სწორი, არ შელახოს პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები. სკოლის ხელმძღვანელობა სიახლეების გავრცელებისათვის იყენებს სკოლის შემოსასვლელში არსებულ საინფორმაციო დაფას. მოსწავლეებს სიახლეებს აცნობენ დამრიგებლები; სკოლა თანამშრომლობს „ეტალონთან“, რომლის გამოყენებითაც ავრცელებს ინფორმაციას გავრცელებული საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ. სკოლას არ აქვს ფასიანი მომსახურება. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის მეჩხეთურის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N 2-1 მოსწავლის სიიდან ამორიცხვის შესახებ
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის მეჩხეთურის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N 2-43 მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვის შესახებ.
- სკოლის Eflow , Eschool ბაზა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- შპს „ეტალონი -განათლება“ -სთან დადებული ხელშეკრულება.
- მშობელთა კრების ოქმი N 1. 12/06.2023
- მშობლის თანხმობა უცხო ენის არჩევის შესახებ.
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი N 2 მოსწავლეთა შესაბამისი კლასის, საფეხურის დაძლევის და კლასიდან კლასში გადაყვანის შესახებ 20 /06/ 2023 წ.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;

სკოლას არა აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციისათვის ხელშემწყობი მექანიზმები შემუშავებული. როგორც დირექციასთან გასაუბრებით და თვითშეფასების კითხვარით დგინდება მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის პროცესში ჩართული არის დამრიგებელი, რომელიც ატარებს შეხვედრებს და არის შუამავალი მასწავლებელსა დ ა მშობელს შორის. სკოლას არ აჰყავს სსსმ მოსწავლეები, სკოლა გეგმავს ინკლუზიური განათლების მიმართულებით გააძლიეროს მუშაობა, რათა შექმნას უსაფრთხო და ხელმისაწვდომი გარემო განურჩევლად ყველა მოსწავლისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 05.08.2023-29.12.2023 პერიოდში უნდა შემუშავდეს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი.
ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

სკოლა ზრუნავს მოსწავლეების ადაპტაციაზე სასკოლო სივრცეში. ფიზიკური გარემო მორგებულია მოსწავლის ინტერესებზე, მაგალითად ინვენტარი, საკლასო ოთახები. ადაპტაციის მექანიზმი სისტემური სახით არ არსებობს, მაგრამ გასაუბრებით და თვითშეფასებით დგინდება, ახლად შემოსულ მოსწავლეებს პედაგოგი აცნობს საკლასო სივრცეს, გარემოს, სველ წერტილებს, ბიბლიოთეკას და ა. შ. დამრიგებელი ზრუნავს მშობლებსა და პედაგოგებს შორის კომუნიკაციაზე. სკოლა ერთსართულიანი, რაც შიდა და გარე სივრცეს მოსწავლეებისათვის იოლად გამოსაყენებელს ხდის და რესურსებზე წვდომას უიოლებს. დამრიგებლის სადამრიგებლო პროგრამაში ერთერთ სასწავლო-სააღმზრდელო აქტივობას წარმოადგენს „თანატოლებთან ურთიერთობა“, რომელიც პიროვნულ და მორალურ განვითარებაზე არის ორიენტირებული. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

როგორც პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით და თვითშეფასების დოკუმენტით დგინდება პედაგოგები ხელს უწყობენ მოსწავლეებს და ზრუნავენ აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების პროცესში მხარდაჭერისა და კონსულტაციების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გზით. სასკოლო სასწავლო გეგმაში, დამრიგებლის ფუნქციებში განსაზღვრული არის სადამრიგებლო საათის ჩატარება, ასევე ვალდებულება დაეხმაროს მოსწავლეებს აკადემიური და სასკოლო გარემოში წამოჭრილი სხვა პრობლემების გადაჭრაში, რეგულარულად მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევების, პრობლემების თუ წარმატებების შესახებ და ა. შ. მოსწავლეები პედაგოგებისაგან იღებენ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას; განმავითარებელი უკუკავშირი ხორციელდება, როგორც წერილობითი, ისევე ზეპირი კომენტარის სახით. განმავითარებელი შეფასებები დაფუძნებული არის საგნობრივ სტანდარტზე. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

მოსწავლის, მშობლის / კანონიერი წარმომადგენლის განცხადებაზე ან მოთხოვნაზე ხდება დროული რეაგირება,. სკოლას გაწერილი აქვს საქმისწარმოების წესი, სადაც განსაზღვრული არის საქმისწარმოების განმახორციელებელი ორგანო, შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაციაში გატარების წესი, მასზე რეაგირების მექანიზმები და ვადები. შემოსული დოკუმენტაციის (მაგ. მშობლის განცხადება) რეგისტრაციის და რეაგირების შედეგებიდან ჩანს, რომ ადმინისტრაცია კანონით გათვალისწინებულ ვადებში ახდენს რეაგირებას და იცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ წესებს. მობილობა ხორციელდება კანონით განხორცილებული წესით და შესაბამის ვადებში. სკოლაში სერვისების განხორციელების პროცესის ხელს უწყობს მოსწავლის მიერ განათლების შეუზღუდავად მიღების უფლებას. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>***

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლა ხელს უწყობს და ახალისებს სკოლაში არაფორმალურ განათლებას, ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები, პროექტები და ა. შ. აღნიშნება ეროვნული მნიშვნელობის და სეზონური დღესასწაულები, მაგალითად საბაზო საფეხურის მოსწავლეებმა, პედაგოგის დახმარებით, მოამზადეს პროექტი კიბერბულინგის შესახებ, რომლის მიზანიც იყო კიბერ - ბულინგის იდენტიფიცირება, პრევენცია; პროექტში გამოიკვეთა თემთან თანამშრომლობა, ცოდნის ტრანსფერი და ა. შ. როგორც პედაგოგებთან და დირექციასთან გასაუბრებით გაირკვა კოლექტივი ღიაა მოსწავლეთა იდეების მისაღებად და მათ რეალიზებაში დასახმარებლად; მეორეს მხრივ, მოსწავლეთა მცირე რაოდენობა იდეების მრავალფეროვნების და მათი რეალიზების კუთხით გარკვეულწილად შემაფერხებელი ფაქტორია. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც საბაზო საფეხურის მოსწავლეებს აერთიანებს. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

რჩევა : *სკოლამ სასურველია გააძლიეროს და მრავალფეროვანი გახადოს არაფორმალური განათლება , პროექტული სწავლება.*

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით და თვითშეფასების საფუძველზე ირკვევა , რომ ღონისძიებების, აქტივობების განხორციელების შემდეგ ისინი უსმენენ მასწავლებლის, მოსწავლის, მშობლის უკუკავშირს და ითვალისწინებენ მას. სამომავლოდ კითხვარების სახით გეგმავენ ამის ორგანიზებას და მასზე დაყრდნობით მოსწავლეთა მომსახურების საკითხის გაუმჯობესებას. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასწავლო პროექტის გეგმა : „კიბერბულინგი - იდენტიფიცირება და პრევენცია“.
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის საქმისწარმოების წესი
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის თვითშეფასება
- კლასის სადამრიგებლო პროგრამა.
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა.
- მშობელთა კრების ოქმი.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

მიმდინარე ეტაპზე სკოლაში, პროფორიენტაციის საკითხებზე საუბარი, ძირითადად ხორციელდება დამრიგებლების საქმიანობის ფარგლებში. მაგალითად დამრიგებლის სამუშაო გეგმაში არის მსგავსი საკითხი: „ვსწავლობ იმიტომ რომ..“, რისი მიზანიც არის სასკოლო დისციპლინების და სასწავლო გარემოში მიღებული სოციალური უნარების ყოფა-ცხოვრებაში გადატანა, სწორი გამოყენება და მართვა“, რაც მეტწილად აქცენტს აკეთებს ცოდნის ტრანსფერზე. სხვა, მიზნობრივი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აქტივობები სკოლის ბოლო პერიოდის საგანანმანათლებლო პრაქტიკაში არ გვხვდება, თუმცა გამოთქვამენ მზაობას ამ მიმართულებით განვითარების საკითხზე.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 05.08.2023-29.12.2023 უნდა მოხდეს მიზნობრივი აქტივობების დაგეგმვა კარიერული და პროფესიული ორიენტაციის ხელმისაწვდომობის კუთხით. ***<u>ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.</u>***

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

სკოლა, როგორც თვითშეფასების კითხვარში არის აღნიშნული, პერიოდულად განათავსებს ინფორმაციებს სხვადასხვა პროფესიების შესახებ საჯარო სივრცეში. სკოლას არ აქვს სისტემური ხედვა მოსწავლეებისათვის ინფორმაციის მიწოდების თაობაზე ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესახებ. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

რჩევა: *სკოლას, სასურველია ჰქონდეს მრავალფეროვანი ინფორმაცია და ინფორმაციის მიწოდების ხერხები ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდეგ კარიერული განვითარების საკითხზე.*

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

სკოლას არ აქვს სისტემური მექანიზმი კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის დანერგვის კუთხით პროცესების შესაფასებლად და გაწეული მომსახურების შედეგების უკუკავშირის სამომავლო ხარისხის გაუმჯობესებისათვის გამოსაყენებლად. როგორც თვითშეფასებაში არის აღნიშნული, სკოლა მუდმივად ცდილობს ინფორმაციის მიღებას საბაზო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საფეხურის დაძლევის შემდეგ წასული მოსწავლეების პროფესიული განვითარების შესახებ. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>***

რჩევა: *სკოლამ სასურველია სამომავლოდ შეიმუშაოს სისტემური მექანიზმი გაწეული მომსახურების შედეგების შესაფასებლად.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კლასის დამრიგებლის სამოქმედო გეგმა
- სსიპ ჭიათურის საჯარო სკოლის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის თვითშეფასება.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლას არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეები, არ აქვს მათთან მუშაობს გამოცდილება. შესაბამისად სკოლაში არ არის სპეციალური მასწავლებელი ისგ გუნდი. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში (2022-2023 წწ) გამოხატულია მზაობა, რომ საჭიროების შემთხვევაში სკოლა მოამზადებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად. გარდა ამისა, სკოლას წარმოდგენილი აქვს ინკლუზიური განათლების განვითარების და გაძლიერების ერთგვარი პრევენციული მექანიზმი, სადაც გათვალისწინებულიაო: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შესაბამისი უსაფრთხო და ხელმისაწვდომი გარემოს უზრუნველყოფა, რესურსებზე ზრუნვა, საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება, მასწავლებლების ცნობიერების ამაღლება სხვადასხვა ტიპის დარღვევის მქონე მოსწავლეებთან სწავლა -სწავლების სტრატეგიების შესახებ, ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, სკოლის მიერ წარმოდგენილ ინკლუზიური განათლების განვითარების და გაძლიერების გეგმაში ჩადებულია პრევენციული მექანიზმები, რომლებიც სასკოლო საზოგადოების ჩართულობას და თანამშრომლობას შეუწყობს ხელს, მაგალითად მშობლებთან საინფორმაციო შეხვედრები, რომლებიც მათ ინფორმირებას და ცნობიერების ამაღლებას ემსახურება, სხვადსხვა საჭიროების მქონე მოსწავლეებთან სწავლა -სწავლების სტრატეგიების გაცნობა პედაგოგებისათვის, არადისკრიმინაციული ტერმინოლოგიის გამოყენება და ა.შ.. სკოლას არ აქვს ინკლუზიური განათლების მონიტორინგის მექანიზმები, საჭიროების არარსებობის გამო. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა.
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების განვითარების და გაძლიერების სამოქმედო გეგმა

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

სკოლა მოსწავლეებს არ სთავაზობს დამატებითი არასავალდებულო მომსახურებას. არსებობს მოსწავლეთა ტრანსპორტირების სერვისი, რომელიც დაფინანსებულია და უზრუნველყოფილია ქალაქ ჭიათურის მუნიციპალიტეტის მიერ მერიის მიერ. დაწესებულებას ემსახურება ტრანსპორტი, რომელიც უზრუნველყოფს დილით მოსწავლეების საცხოვრებელი სახლებიდან სკოლაში მიყვანას, გაკვეთილების შემდეგ კი პირიქით, სკოლიდან სახლში დაბრუნებას. მოსწავლეთა ტრანსპორტირებაზე სკოლას არ აქვს ხელშეკრულება; სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა ტაბელები, რომლებშიც აღნიშნული არის თარიღი, მოსწავლეთა რაოდენობა, გზების რაოდენობა, სკოლის უფლებამოსილი პირის ხელმოწერა, მძღოლის ხელმოწერა. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

სკოლა არ სთავაზობს მოსწავლეებს დამატებით, არასავალდებულო მომსახურებას. მუნიციპალიტეტის ახორციელებს მოსწავლეთა ტრანსპორტირებას; მომსახურება ნებაყოფლობითია და მოსწავლეები სარგებლობენ საჭიროების შესაბამისად (ვისი საცხოვრებელიც სკოლისაგან დაცილებულია). ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლა არ აქვს დამატებითი არასავალდებულო მომსახურება და შესაბამისად კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულება. ტრანსპორტირების სერვისის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი არის მუნიციპალიტეტი, სერვისის განხორციელების მონიტორინგს აწარმოებს სკოლა, კერძოდ, სკოლის დირექცია; პროცესის განხორციელების ყოველდღიური კონტროლის გზით, კონკრეტულად კი აწარმოებს ტაბელებს, რომელსაც ორივე მხარე (სკოლის წარმომადგენელი, განმახორციელებელი პირი) აწერს ხელს. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების ტაბელი , 2023 წლის მაისი
- სსიპ ჭიათურის საჯარო სკოლის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის თვითშეფასება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლა გამოხატავს მზაობას კურიკულუმის შემუშავებაში ჩართოს სასკოლო საზოგადოება და განავითაროს მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით. გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები, რაშიც დაეხმარება კურიკულუმის შემუშავება/განვითარების ციკლური ხასიათი.
სკოლის მიერ მოწოდებული სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმი შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად; სასკოლო საზოგადოება მთელი წლის მანძილზე ნერგავს შემუშავებულ კურიკულუმს, აკვირდება დანერგვის პროცესს, აანალიზებს დანერგვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შედეგებს და შეიმუშავებს სარეკომენდაციო პაკეტს ახალი სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმისათვის. სასკოლო კურიკულუმის შემუშავება/დანერგვა/მონიტორინგსა და სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართვა უზრუნველყოფს მათი ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. კურიკულუმის განახლება უნდა მოხდეს ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. პედაგოგებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ იგეგმება კიდევ უფრო გააქტიურდეს კათედრებს შორის თანამშრომლობა, აქცენტი გაკეთდება მოსწავლეთა უნარების განვითარებაზე და ამ პროცესში ფართო სპექტრით ჩაერთვება სასკოლო საზოგადოება. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***

რჩევა *-სასურველია, შემუშავებულ იქნას ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებას (ესთეტიკის საგნობრივი მიმართულება)*

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

დაწყებითი საფეხურის კათედრა / საგნები ცდილობენ მოსწავლეთა და მასწავლებელთა აქტივობების საფუძველზე, ამ აქტივობების რეფლექსიით, ერთობლივ შეხვედრებზე მოსწავლეთა მიღწევებისა და გამოწვევების განხილვა-ანალიზით, შეძლებისდაგვარად გამოკვეთონ სასკოლო საზოგადოების ინტერესები. სკოლა თანამშრომლობს მშობელთა აუდიტორიასთან. როგორც კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტით და გასაუბრების შედეგებით ირკვევა, დაგეგმილია თითოეული კლასის დამრიგებლის მიერ მშობელთა ინტერვიუებისა და გამოკითხვების ჩატარება სასკოლო საზოგადოების გეგმებისა და სკოლის სასწავლო-აკადემიური პრიორიტეტების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმებში არსებული მოცემულობა ნათლად პასუხობს მნიშვნელოვან შეკითხვებს სასწავლო პროცესში მონაწილე სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებს კერძოდ, მასწავლებლებს რას, როგორ, რაზე დაყრდნობით ასწავლიან, მოსწავლეებს/მშობლებს რას, როგორ რის საფუძველზე შეისწავლიან. როგორც მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან ჩანს, ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა, სკოლის დირექცია. კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. კურიკულუმში ითვალისწინებენ მოსწავლის მზაობას, წინარე ცოდნას და შესაძლებლობებს.

მსგავსი მაგალითის მოყვანა შეიძლება საზოგადოებრივ მეცნიერებებში: დოკუმენტაციის გაცნობისა და სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები კარგად იცნობენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. კურიკულუმზე მუშაობის პროცესში მათ ნამდვილად ჰქონდათ ნაფიქრი და გათვალისწინებული იყო სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რაც უფრო მეტად საინტერესოს და მიზნობრივს ხდის სასწავლო პროცესს. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>***

რჩევა *- სასურველია სკოლას გააჩნდეს შესაბამისი ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც სისტემურად მოხდება სასკოლო საზოგადოების არა მხოლოდ ინფორმირებულობა, არამედ უზრუნველყოფილი იქნება სასკოლო საზოგადოების ყველა ჯგუფის ინტერესების ასახვა და გათვალისწინება. (ესთეტიკის მიმართულება)*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე, საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებაში ჩართული იყვნენ საგნობრივი კათედრები და დირექცია. კათედრის შეხვედრაზე მასწავლებლები ერთობლივად შეიმუშავებენ საგნობრივ კურიკულუმებს. სწორედ რომ მთელი წლის მანძილზე დაგროვებული გამოცდილების, კერძოდ კი მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით ხდება კურიკულუმის შემუშავება, განვითარება. სკოლის პედაგოგები მოტივირებულნი არიან, ადმინისტრაციასთან, სასკოლო საზოგადოების წევრებთან ერთად ჩაერთონ საგნობრივი და ზოგადად სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში; სურვილი აქვთ ამ პროცესში ჩართონ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი, რათა ერთობლივად გააანალიზონ, როგორც საკუთარი გამოცდილება, ასევე ის პრიორიტეტები, რომელთა გათვალისწინებაც კურიკულუმის შემუშავებისას ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოების როლისა და ფუნქციის გააზრებას.
მაგალითად, დაწყებით საფეხურზე ბუნებისმეტყველებაში კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობას იღებს მთლიანად კათედრა და არაერთი მასწავლებელი. სკოლა გამოთქვამს მზაობას, რომ მომავალში დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლეების და მშობლის აქტიური ჩართულობა.

კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება მახვილდება შემდეგ საკითხებზე: კონცეპტუალური ჩარჩო და კურიკულუმის დიზაინი. ამ პროცესებზე ხდება ფუნქციების, პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩოს მომზადებაში ჩართული პირთა წრე უნდა გაფართოვდეს, სკოლა გამოთქვამს მზაობას, პროცესში ჩართული იყვნენ მოსწავლეები და მშობლები; შეიქმნას "მოსაზრებების ყუთი". ჩატარდეს კვლევა კომპლექსური დავალებების ფორმატზე, რაოდენობაზე. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რჩევა *- სასურველია, სხვადასხვა კათედრის წევრებმა ერთობლივად შექმნან ინსტრუმენტი, რომელიც იქნება ღია და ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის და კურიკულუმში გათვალისწინებული იქნება ყველა წევრის მოსაზრებები (ესთეტიკის მიმართულება)*

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

კურიკულუმის გაზიარება მოხდება სასკოლო საზოგადოების მიერ შემდეგი საკომუნიკაციო არხების საშუალებით ელექტრონული ფოსტა; სოციალური მედია, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. კურიკულუმის მიხედვით შემუშავებული საკითხების ხელმისაწვდომობისათვის სკოლა გეგმავს ინფორმაციის განთავსებას საკუთარ ვებ გვერდზე, სოციალურ ქსელში არსებულ გვერდზე და Teams პლატფორმაზე. ასევე იგეგმება ბუკლეტების შექმნა როგორც მატერიალური, ასევე ელექტრული ფორმით. აღნიშნულ ბუკლეტებში განათავსებენ ინფორმაციას სასწავლო კურიკულუმების შესახებ. ამასთან, სკოლა გეგმავს ფიზიკურ გარემოში პირისპირ შეხვედრებს, სადაც სასკოლო საზოგადოებას მიეწოდება ინფორმაცია დაწყებით საფეხურზე არსებული სასწავლო კურიკულუმის შესახებ, მაგალითად საბუნებისმეტყველო მიმართულებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმების შემუშავებაში ჩართული იყო სკოლის ყველა მასწავლებელი და დირექცია.

როგორც სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრებთან გასაუბრებით გაირკვა, ისინი არა მხოლოდ ერთმანეთს უზიარებენ აზრებს და იდეებს კურიკულუმის მუშაობის პროცესში, არამედ თავიანთ მოსაზრებებს აცნობენ სხვა კოლეგებსაც და მათ რჩევებსაც ითვალისწინებენ. <u>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

100

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ინტერიუ პედაგოგებთან
- დანართი 1, მშობელთა კრების ოქმი;
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით, სასწავლო პროცესში უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლთა შესრულებასაც მოსწავლის ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება. კურიკულუმებში წარმოდგენილია გზა, რომელსაც მოსწავლე გადის დაწყებითი საფეხურის ფარგლებში. მასწავლებლებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ ისინი ითვალისწინებენ შესაბამისი კლასების მოსწავლეთა საჭიროებებს და მათზე მორგებულ აქტივობებს გეგმავენ.

შემუშავებული კურიკულუმები მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა კომპლექსური ბუნების დავალებების ფარგლებში (თუმცა არის თემები, რომლის ფარგლებში არ არის წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები). მაგ. ინგლისური ენის დაწყებითების ინგლისური ენის კურიკულუმებში წარმოდგენილია შემდეგი კომპლექსური დავალებები: პირველი კლასი: „დახატეთ თქვენი ოჯახი და ზეპირად წარმოადგინეთ თქვენი ნამუშევარი“; მესამე კლასი „შექმენი პოსტერი თემაზე: „მხიარული უქმეები ზოოპარკში“. გააფორმე იგი შესაბამისი ფოტოებით/ნახატებით და ზეპირად წარადგინე კლასის წინაშე“.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმში წარმოდგენილმა ინფორმაციამ და მასწავლებლებთან გასაუბრებამ ასევე აჩვენა, რომ სასწავლო პროცესს ისინი გეგმავენ თემატურად, მოსწავლის გამოცდილებასთან ახლოს მყოფი კონტექსტის მიხედვით. სკოლას მთავარ ამოცანად მიაჩნია მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაზრდა, მოსწავლეს განიხილავენ როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესების, ხასიათის მქონე ინდივიდს და კურიკულუმის აგების პრინციპებს და მეთოდურ ორიენტირებს შესაბამისად მისი ინტერესების და განვითარებისკენ მიმართავენ.

იგივეს ადასტურებს, დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების წარმოდგენილი დავალების იდეები კომპლექსური ბუნებისაა და ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და გახორციელებული სასწავლო პროცესით, იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებები და კომპლექსური დავალებების წარდგენის პროცესი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, ხელს უწყობს მოსწავლეში გლობალური ფუნქციური უნარების: კომუნიკაციის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, ინფორმაციის ნათლად გადმოცემას. კომპლექსური დავალების გადაჭრა მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას, პრობლემის იდენტიფიცირებას და მისი გადაჭრის გზები ძიებას, წარდგენის პროცესი კი კომუნიკაციას. სკოლას შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გააზრებული აქვს გრძელვადიან მიზნებად, ხოლო გლობალურ ფუნქციურ უნარებს (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (ეთიკა, პასუხისმგებლობა), ხასიათი (ნება) განიხილავს პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად. ჩანს კორელაცია გრძელვადიან მიზნებსა და დანერგვის (დაგეგმვა, შეფასება) ინსტრუმენტებს შორის.

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში თემები, დავალებები, რესურსები , ძირითადი კონტექსტ მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის სრულ კორელაციაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. უნდა აღინიშნოს, რომ უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური ბუნების დავალებები შეიცავს გამოწვევას, ქმნის ავტონომიის განცდას, იწვევს ცნობისმოყვარეობას, ხელს უწყობს შემოქმედებითობას, იწვევს ემოციურ კმაყოფილებას. მაგ. მესამე კლასი , უცხო ენა: „აღწერეთ წერილობით წელიწადის დროები და ჩამოთვალე თუ რა აქტივობებს აკეთებ თითოეულ სეზონზე. ისაუბრე ასევე თუ რომელია შენი საყვარელი სეზონი და რატომ. ნამუშევარი გააფორმე შენი სურვილის მიხედვით“;

მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ, ასევე, ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩო, რომელიც იმგვარადაა შევსებული, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. კურიკულუმების შემუშავებამდე სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესი არ მიმდინარეობდა კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებით, თუმცა საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები იცნობენ აღნიშნული სწავლების მეთოდიკას. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმის წარმოდგენილ ჩარჩოებში სწავლების მთავარი ასპექტები ისეა შემუშავებული, რომ ჩანს მზაობა, განავითარონ წარმოდგენილი კურიკულუმი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სწავლა-სწავლების პროცესი მთლიანად დაეფუძნოს გრძელვადიან სასწავლო მიზნებს - სამიზნე ცნებებს და საფეხური შედეგებს. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

რჩევა *- ესთეტიკის საგნების მიმართულებით სასურველია მასწავლებელთა თვითრეფლექსიის ინსტრუმენტის გამოყენება, ასევე კათედრათა თანამშრომლობა სხვადასხვა პროექტებისა თუ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩასატარებლად.*

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

კათედრების მიერ შემოთავაზებული რესურსები და სასწავლო მასალა იძლევა მოსწავლის ჩართულობის შესაძლებლობას. გასაუბრებაზე პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მათთვის მნიშვნელოვანია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური ფსიქო-ემოციური თავისებურებების მიხედვით კომპლექსური დავალებების შეძლებისდაგვარად მოდიფიცირება და ზოგადად სასწავლო პროცესში ინკლუზიური მიდგომების გამოყენება. სასწავლო პროცესში გათვალისწინებული იქნება დიფერენცირებულ მიდგომები, სკოლა მოახდენს სასწავლო გარემოს, სასწავლო მასალების, რესურსების მოდიფიცირებას. მაგალითად, ზეპირ ინტერვიუში საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებლები აღნიშნეს, რომ სწავლების დიფერენცირებული მიდგომის ფარგლებში მასწავლებლები მოსწავლეებს შესთავაზებენ მათი შესაძლებლობების დავალებებს. ყველა მოსწავლეს შესაძლებლობა ექნება თანაბრად ჩაერთოს სწავლა-სწავლების პროცესში. ამ ეტაპზე სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლე არ ჰყავს, თუმცა საჭიროების შემთხვევაში, გათვალისწინებულია მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა, მასთან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მუშაობა. სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას პრაქტიკაში გათვალისწინებული აქვთ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისსა და დასრულებამდე გარკვეული პერიოდით ადრე დიაგნოსტიკური წერების ჩატარება, და შედეგების ანალიზის მიხედვით, სასწავლო პროცესის შესაბამისი დიფერენცირება, შედეგების გამოყენება საგაკვეთილო პროცესის წარსამართად. სკოლას აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია ამ მიმართულების განვითარებისა და გაძლიერებისათვის მიზნები და აქტივობები.

დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში, კერძოდ მე-5 კლასში ჩანს რომ მასწავლებელს შეთავაზებული აქვს მოსწავლეებისათვის არჩევანი შემოქმედებით პროდუქტებში, რესურსებში; ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპლექსური ბუნების დავალებები იძლევა საშუალებას მოხდეს შესაბამისი დიფერენცირება. რაც დადასტურდა მასწავლებელთან გასაუბრების პროცესში. გარდა ამსია, პედაგოგმა წარმოადგინა მე-2 კლასში განხორციელებული დავალება და მოსწავლეთა ნამუშევრები, სადაც ისაუბრა როგორ ახორციელებს დიფერენცირებულ სწავლებას. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

რჩევა *- სასურველია, სკოლას ჰქონდეს კომუნიკაცია ინკლუზიური განათლების სპეციალისტებთან, რათა საჭიროების შემთხვევაში შეიქმნას კომპლექსური დავალებების ადაპტირებული ვერსიები (ესთეტიკის მიმართულება)*

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სკოლამ კომპლექსური დავალების პირობაზე დაყრდნობით წარმოადგინა შესაბამისი საფეხურის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი დოკუმენტების/ნიმუშები საშუალებას იძლევა, რომ ვთქვათ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს, გარდა ამისა, ზოგად წარმოდგენას ქმნის, საფეხურის ფარგლებში შეფასების აღნიშნული ტიპის წარმოების წესზე. როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასება მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ მიღწევის ინდიკატორებს და დამიზნებულია როგორც შუალედურ, ასევე გრძელვადიან მიზნებზე, გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში (2022-2023) გაწერილია საგნის სწავლა - სწავლების შეფასების კომპონენტები, კრიტერიუმები და ფორმები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებები იძლევა საშუალებას გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად; მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში სკოლა აღნიშნავს, რომ მომავალი 2023-2024 სასწავლო წლისთვის გეგმავს განმავითარებელი შეფასების გარდა გამოიყენოს განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელი. თანამედროვე მიდგომების შესაბამისად შემუშავებული იქნება განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. მაგალითად, საბუნებისმეტყველო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საგნების მასწავლებლები ზეპირ ინტერვიუში აღნიშნავენ, რომ შეფასების განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელი მათ ეფექტურად დაეხმარება გრძელვადიანი მიზნების მიღწევაში.

დაწყებით საფეხურზე, ფიზიკური აღზრდის საგანში, ექვსივე კლასში, სტანდარტის მიხედვით გვაქვს მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მაგალითები, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. წარმოდგენილ დოკუმენტში გაწერილია მოსწავლეების შედეგების დიაგნისტირება, განმავითარებელი კომენტარი შემდგომი პროგრესის ხელშესაწყობად, მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა და მასწავლებლის თვითშეფასების კრიტერიუმები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ პედაგოგები გაეცნენ როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის ინსტრუქციას, შექმნეს შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; თუმცა ასევე აღნიშნეს (საზოგადოებრივი მეცნიერებები), რომ ასეთი მიდგომა მათთვის ახალია, აქამდე განმავითარებელი შეფასების მიცემისას, ძირითადად, იყენებდნენ სიტყვიერ კომენტარს

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

რჩევა *- სასურველია, შეფასების რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი, ეფექტურად იყო ორიენტირებული გრძელვადიან შედეგებზე (ესთეტიკის მიმართულება)*

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას კათედრებზე ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებებსა და გამოწვევებს როგორიცაა: მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზი; მოსწავლეების, კოლეგების, მშობლების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგები.

თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ მასწავლებლები აანალიზებენ გავლილი სასწავლო წლის გამოცდილებას და უზიარებენ ერთმანეთს კათედრის და პედსაბჭოს სხდომებზე. ასევე, ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ, რომ მასწავლებლები ყურადღებას აქცევენ წარმატებული გამოცდილების გაზიარებას, წინარე ცოდნას და პროცესი ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე. სკოლის კითხვარში გამოთქმულია მზაობა, რომ მოხდება მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვა, დაინერგება ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა პედაგოგიური პრაქტიკის რეფლექსია და თემატური მატრიცის ანალიზი, იმისთვის, რომ მომავალი კურიკულუმი დაეფუძნოს წინარე გამოცდილებას.

ზეპირ ინტერვიუში ბუნებისმეტყველების მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ კათედრაზე მსჯელობენ, რა იყო სირთულე, რომელმა საკითხმა გამოიწვია მოსწავლეთა მოტივაციის ცვლილება. პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით, ისინი გეგმავენ „კრიტიკული მეგობრის“ სტრატეგიის გამოყენებას, მოახდენენ პედაგოგიური პრაქტიკის რეფლექსიას, კომპლექსური დავალებები განხორციელების შემდეგ მოხდება მოხდება მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზი და აღნიშნული გამოცდილებით განხორციელდება ახალი სასწავლო გეგმის შემუშავება.

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის დანერგვის მეთოდოლოგია, კომპლექსური დავალების ნიმუშები, კურიკულუმის ჩარჩოები ასახავს წინარე გამოცდილების გათვალისწინებას, ადასტურებს, რომ სკოლას შეუძლია დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს წინარე გამოცდილება, მოახდინოს მისი ანალიზი და გაითვალისწინოს მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებაში. აღნიშნულს ადასტურებს პედაგოგებთან წარმოებული ინტერვიუებიც. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.

- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ;
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის დაწყებით საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.
- კომპლექსური დავალებები.
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
- საგნობრივი ოქმი საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში. (რესურსი N12)
- პროექტის გეგმა: - კიბერბულინგი.
- სამოქმედო გეგმა-ინკლუზიური განათლების განვითარება და გაძლიერება.
- მასწავლებელთა სამუშაო ჯგუფის შეხვედრების გეგმა.
- დიფერენცირება ტექნოლოგიებში, მოსწავლეთა ნამუშევრები.
- საბუნებისმეტყველო კათედრის ოქმი N2.
- საგნობრივი კათედრების ოქმები.
- მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი თემები, კომლექსური დავალებების იდეები, ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციისა და შემოქმედებითი უნარის გაღვივებასა და განვითარებას. ინტერვიუებისა პედაგოგებმა ისაუბრეს სხვადასხვა კლასში შექმნილი კომპლექსური დავალების შემოქმედებით ნიუანსებზე და ასპექტებზე, დაასაბუთეს როგორ უწყობს ხელს ეს დავალებები მოსწავლეთა დაინტერესებასა და მათ სასწავლო პროცესში ჩართულობას.

დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა, ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გამოცდილებასთან და მიემართება სამიზნე ცნებების გააზრებამდე. მაგ. მეხუთე კლასი „შეადგინე გამოცანა შენი საყვარელი საჭმლისა და მისი ინგრედიენტების შესახებ. წარუდგინე გამოცანა შენს თანატოლს და უპასუხე მის მიერ შენი გამოცანის გამოსაცნობად დასმულ კითხვებს. შემდეგ შეცვალეთ როლები.“ (უცხოური ენები) დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში პედაგოგმა ისაუბრა მის მიერ განხორციელებულ პროექტზე, „წინაპართა კვალდაკვალ“, რომელშიც ინტერესით იყვნენ ჩართული მოსწავლეები.

პედაგოგებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ წინა სასწავლო წელს ბუნებისმეტყველებაში განხორციელდა რამდენიმე კომპლექსური დავალება; პედაგოგი აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ აქვს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მიმართულებით საკმარისი გამოცდილება, აღნიშნულ შემთხვევებში გააზრებული იქნა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის მნიშვნელობა. ბუნებისმეტყველების პედაგოგები გამოთქვამენ მზაობას, განახორციელონ ისეთი აქტივობები, სადაც მოსწავლე იქნება ცენტრალური სუბიექტი და მას ექნება შესაძლებლობა, განავითაროს და გამოავლინოს საკუთარი ცოდნა და უნარები სასწავლო პროცესის დროს.

თვითშეფასების დოკუმენტიდან გამომდინარე, მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას ხელს შეუწყობს არაფორმალური აქტივობები, გასვლითი გაკვეთილები, ეკო-ლაშქრობები, სოციალური პროექტების განხორციელება. წარმოდგენილი კურიკულუმები, რომლებშიც ჩართულია კომპლექსური დავალებები, ადასტურებს, შემოქმედებითი პროდუქტი იქმნება მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტების გათვალისწინებით ისინი არის ცხოვრებისეული სიტუაციის ამსახველი, რომლის მიხედვითაც მოსწავლეს უწევს პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ალტერნატივების შემუშავება და არჩევანის გაკეთება, რაც თავისთავად უზრუნველყოფს მოსწავლის მოტივაციას და მის აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვას. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>***

რჩევები: *სპორტის მიმართულებით, 1-4 კლასებში დაამატონ თემა „ჯანსაღი ცხოვრების წესი“/“ჯანსაღი კვება და მე-5 და მე-6 კლასის კურიკულუმებში -თემა „მავნე ჩვევების პრევენცია“.*

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები მოსწავლისთვის არის ნაცნობი კონტექსტი, რომელიც ეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში და გააზრებაში. ასევე მოცემული თემები სთავაზობენ მოსწავლეებს აზრიან, შინაარსიან კონტექსტებს, რაც მნიშვნელოვანია მოსწავლის შემეცნების სუბიექტად გადაქცევისა და მისი შინაგანი ძალების გააქტიურებისთვის.

პედაგოგთა რეფლექსია (გასაუბრება) სასწავლო პროცესის შესახებ საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ მართებულად ესმით მოსწავლეთა წინარე გამოცდილების, როგორც სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტის არსი და დანიშნულება. ბუნებისმეტყველების პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ცოდნის გააქტიურება ხდება ისეთი აქტივობებით, როგორიცაა კითხვა-პასუხი, გონებრივი იერიში, ასოციაციური რუკა და ა. შ. ცოდნა იგება მარტივიდან რთულისკენ. მასწავლებლებს აქვთ მზაობა, ახალი თემატური მატრიცა შექმნან ისე, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება მოხდეს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლემ წინარე ცოდნის გააქტიურება და მასზე დაფუძნებით ახალი ცოდნის კონსტრუირება შეძლოს. კომპლექსური დავალებებისა და სასკოლო პროექტის მიზნები და შინაარსი მოსწავლეებს პრაქტიკულ და ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან პარალელების გავლების უნარებს უვითარებს. კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობა მოსწავლეს საშუალებას მისცემს სწავლა-სწავლების პროცესში ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით და ა. შ. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი ორიენტირებულები არიან იკვლიონ მოსწავლეთა წინარე ცოდნა, რომელსაც გაითვალისწინებენ მოსწავლეების ცოდნის აგების პროცესში. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>***

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებები შეიცავს საკვანძო შეკითხვებს, რომლებიც ლაიტმოტივად გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს. დავალებაზე მუშაობის პროცესი იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილებისა და ცნობისმოყვარეობის წახალისების შესაძლებლობას. მეტაკოგნიციის განვითარებას ხელს უწყობს, მაგალითად , მოსწავლეთა მიერ დავალებების პრეზენტაცია, რომლის დროსაც მოსწავლე ადარებს დავალებას წინასწარ შემუშავებულ კრიტერიუმებს, ახდენს მის მიერ შესრულებულ სამუშაოს რეფლექსიას: რა გამოუვიდა კარგად, რატომ, რა იყო ის ცოდნა და გამოცდილება, რამაც წარმატება მოუტანა, რა ვერ შეძლო, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა წარმატების გზაზე.

მასალების გაცნობის და ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგები ყურადღებას ამახვილებენ მოსწავლეთა რეფლექსიებზე საკუთარი სწავლის სტილისა და სტრატეგიების შესახებ. დაწყებითი საფეხურის კათედრის წევრებმა იციან, რომ ეს საგანმანათლებლო პრინციპი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისა და აკადემიური ცოდნის დონის ამაღლებაში. მასწავლებლები შეეცდებიან დავალების აქტივობები მოარგონ მოსწავლეთა ინდივიდუალურ გამოცდილებას, რათა მათთვის უფრო ადვილი გახდეს სწავლის პროცესის სოციო-ემოციურად მართვა და თვითშეფასების და თვითრეგულაციის უნარების განვითარება. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებები წარმოადგენს ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის მაგალითებს. კომპლექსური ბუნების დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას; ეცნობა ინფორმაციებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან არამედ დამატებით სხვა წყაროებიდანაც (დეკლარაციული ცოდნა), სვამს და პასუხობს შეკითხვებს მასალასთან დაკავშირებით; ახორციელებს გარკვეულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ქმედებებს(პროცედურული ცოდნა) და დასკვნით ეტაპზე ახდენს ცოდნის მოქმედებაში გადატანას ქმნის საბოლოო პროდუქტს. მაგ. უცხო ენებში წარმოდგენილია შემდეგი დავალება: „შეარჩიეთ თქვენთვის სასურველი ცნობილი პიროვნება წარსულიდან, ვისთან შეხვედრასაც ისურვებდით შესაძლებლობა რომ გქონოდათ (ეს შეიძლება იყოს მომღერალი, სპორტსმენი, მსახიობი, ხელოვანი, მეცნიერი და სხვა; ან რომელიმე ისტორიული პიროვნება). შემდეგ წიგნებიდან, ჟურნალგაზეთებიდან ან ინტერნეტიდან მოიძიეთ და წარმოადგინეთ საინტერესო ინფორმაცია მის შესახებ."

მასწავლებლებს აქვთ მზაობა, შერჩეული კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესი ორიენტირებული იყოს ცოდნის სამივე კატეგორიაზე, კერძოდ, მოსწავლემ შეიძინოს ფაქტობრივი ცოდნა. შემდეგ ეტაპზე, მოსწავლემ განახორციელოს კონკრეტული აქტივობები და გააცნობიეროს, თუ როგორ უნდა შეასრულოს ესა თუ ის პირობა. კომპლექსური დავალების ბოლო ეტაპზე მოსწავლეს ერთი და იგივე საკითხი მრავალმხრივად უნდა ჰქონდეს დამუშავებული, ამ ეტაპზე მოსწავლე უკვე შეძლებს თემისა და მკვიდრი წარმოდგენების ფარგლებში შეძენილი ცოდნის უნივერსალურად გამოყენებას. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>***

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

კომპლექსური დავალებები და პედაგოგებთან გასაუბრების პროცესში გამოკვეთილი მიზნობრივი აქტივობები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს დააკავშირონ ნასწავლი მასალა პრაქტიკასთან, მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი, უზრუნველყონ ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

მაგალითად, ინგლისური ენის საგნობრივ კურიკულუმში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებები იძლევა სურათს თუ როგორ ხდება სხვადასხვა ცოდნათა ორგანიზება და დაკავშირება დავალების პროდუქტის შესაქმნელად. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული თემები არის მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნას, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. თემა ქმნის მოსწავლის პიროვნულ მოქმედების არეალს. რადგან შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის, იწყებს ფიქრს პრობლემაზე, გამოწვევაზე და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია, ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, პროდუქტის შექმნაზე. 2023-2024 სასწავლო წელს სკოლა გეგმავს სასკოლო პროექტის „შეამცირე გარემოს დაბინძურება“ განხორციელებას , რომელშიც ჩაერთვება ჰუმანიტარული კათედრა (უცხოური ენები). სკოლა თვითშეფასების კითხვარში აღნიშნავს, რომ გეგმავს გააძლიეროს საგანთა შორის ინტეგრაცია, შესაძლებლობა; შერჩეული იქნება ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლის ცოდნის დაკავშირებას ყოველდღიურ ცხოვრებასთან. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ გეგმავენ საგნობრივი კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად ასწავლონ, რადგან ჩარჩოს მიხედვით გაწერილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებული იქნება პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაზე. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>***

რჩევა *- სასურველია, ესთეტიკის მიმართულებით ,კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებები სამომავლოდ გააზრებული იქნას, როგორც ერთი საგნისა და ერთი საფეხურის ფარგლებში, ასევე საფეხურებსა და საგანთა შორის კავშირების გათვალიწინებით*

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ;
- პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის დაწყებით საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.
- პროექტის გეგმა
- კომპლექსური დავალებები.
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
- საგნობრივი ოქმი (რესურსი N12)

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პედაგოგები იაზრებენ სამიზნე ცნებების, თემების, საგნობრივი საკითხების, საფეხურის საკვანძო შეკითხვების ურთიერთკავშირს, ისინი სასწავლო პროცესის კონსტრუქტივისტული ხედვაზე აგებას ძირითადად საგანმანათლებლო პრინციპად და საშუალებად მიიჩნევენ. პედაგოგები თვლიან, რომ მოსწავლეები დროთა განმავლობაში კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის შემდეგ შეძლებენ საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით სამიზნე ცნებებისა და მათი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებასა და გაცნობიერებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ ჩარჩო დოკუმენტებში თემები ჩაშლილია საკითხებად, თითოეული თემა მუშავდება სამიზნე ცნებებთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე, სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. სკოლისთვის სამიზნე ცნება, რომელსაც აზუსტებს მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებები და საფეხურის საკვანძო შეკითხვები არის მთავარი ორიენტირი, რომელსაც სწავლა სწავლების პროცესი მიემართება. საფეხურის შედეგებითა და სამიზნე ცნებებით განსაზღვრულია ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლე საგანში უნდა დაეუფლოს. ამ ცოდნისკენ სვლა კი მოსწავლეზე ორიენტირებული, კონსტრუქტივისტული სიღრმისეული სწავლის მიდგომებით იგეგმება, რაც საშუალებას მისცემს სკოლას დაეხმაროს მოსწავლეებს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაში საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

მაგალითად , ფიზიკური აღზრდის კურიკულუმების ჩარჩოში განსაზღვრულია, თუ რა მიზანს ემსახურება და რა შედეგზეა ორიენტირებული მითითებული საგნის საკითხების შესწავლა. სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>***

რჩევა *- სასურველია, სამომავლოდ დაწყებითი საფეხურის ყველა კლასში , ესთეტიკის მიმართულებით , კლასში გაიზარდოს კომპლექსური დავალებების რაოდენობა რომლებიც შესაბამის ცნებებს და ქვეცნებებს მოიცავენ.*

2 . საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საგნობრივი კათედრები / პედაგოგები მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. ეს არის სკოლის ერთ - ერთი ძირითადი პრიორიტეტი. ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლის მხრიდან კონსტრუქციული ურთიერთობების დამყარება მოსწავლეებთან და მათთვის სასიამოვნო და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა წარმოადგენს მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესის დაგეგმვა/შეფასება/ მონიტორინგის და თვითშეფასების შემადგენელ ნაწილს. ამის დასტურია, მაგალითად, კომპლექსური დავალებები. სკოლისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლის ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მართვა. კომპლექსური დავალებების შექმნისას, პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, უნარებს, წინარე ცოდნას. ინტერვიურებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დავალებების შექმნისას ყურადღებას აქცევენ, რომ მოსწავლე დაფიქრდეს თანასწორობის, ტოლერანტობის, სხვა ადამიანების ღირსების დაფასების აუცილებლობაზე.

დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილ კურკულუმის ჩარჩოში სხვადასხვა მიმართულებით არის კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები, მათ შორის სამიზნე ცნება ციფრული მოქალაქეობის ფარგლებში, ასევე განხორციელებულია პროექტი „კიბერ ბულინგი“. დაგეგმილი აქტივობები აძლევს მოსწავლეს საშუალებას ამოიცნოს საკუთარი ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, მართონ საკუთარი ემოციები. რაც გვაძლევს იმის დასკვნის საშუალებას, რომ საგნობრივი კონტექსტი ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

დაწყებით საფეხურის მუსიკისა და ხელოვნების კურიკულუმებში თემები, მიემართება ესგ განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ამის დასტურია ის, რომ ზემოაღნიშნული საგნების კურიკულუმებში გათვალისწინებულია სწავლა-სწავლება კომპლექსური დავალებების საშუალებებით, სადაც თემებისა და საკითხების შესწავლის პროცესში გათვალისწინებულია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები. ამასთან ერთად კურიკულუმებში საგნობრივი კონტექსტები ისეა შერჩეული, რომ გათვალისწინებული იყოს მოსწავლის პირადი გამოცდილება, ინტერესები, ასაკობრივი თავისებურებები, რაც ბავშვებს უმაღლებთ მოტივაციას და ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ, ემოციურ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .</u>***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

სკოლაში იყენებენ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. განმავითარებელ შეფასებას, რომელიც გულისხმობს: ა) მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირებას; ბ)კომენტარს(დაზუსტება, წახალისება, შენიშვნა), რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის შემდგომ წინსვლას გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით; გ)მოსწავლის თვითშეფასებას; დ) მასწავლებლის თვითრეფლექსიას. მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება მოხდება კათედრაზე. 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში კათედრა გეგმავს დააკვირდეს მოსწავლეებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში, დაკვირვების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაგეგმავენ ინტერვენციებს. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა ირჩევს განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელს.

სკოლა გამოთქვამს მზაობას, ისე დაგეგმონ კომპლექსური დავალებები, რომ შეფასების სისტემა იძლეოდეს საშუალებას, მხარი დაუჭირონ მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მოსწავლის ყველა მიმართულებით (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) განვითარების დიაგნოსტირება.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზე მასწავლებლები იყენებენ მხოლოდ ზეპირსიტყვიერ შეფასებას. სკოლას ასევე, წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლა იყენებდა განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს, ასევე განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკას. იგივე განაცხადეს მასწავლებლებმა ინტერვიუს დროსაც, მომავალში უფრო სისტემურად შემუშავდება სხვადასხვა სახეობის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც მასწავლებელს საშუალებას მისცემს ჰოლისტურად განიხილოს ბავშვის როგორც კოგნიტური, ასევე ფსიქო-ემოციური განვითარება. მოსწავლის ჰოლისტური შეფასების პრინციპები ჩართულია კომპლექსური დავალებების შეფასების ინდიკატორებშიც, რაც გულისხმობს სამი ტიპის ცოდნის გამთლიანებას. ამდენად, კომპლექსური დავალებების ჩართვა სასკოლო კურიკულუმში საწინდარია მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმის არსებობისა სკოლაში. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>***

რჩევა *- სასურველია, შეფასების ნებისმიერი სისტემა ეფექტურად იყო მიმართული გრძელვადიანი მიზნებისკენ (ესთეტიკის მიმართულება)*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სკოლას აქვს როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით განმავითარებელი შეფასების წარმოების პრაქტიკა, პედაგოგთა გასაუბრების შედეგების და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შემაჯამებელი დავალებების შეფასების რუბრიკები გამოიკვრება საკლასო სივრცეში. კომპლექსური დავალებებისთვის და შეფასების რუბრიკებისთვის შემუშავდება ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე შეფასების სისტემის დანერგვას შეუწყობს

მაგალითად, ბუნებისმეტყველების მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ შეფასება, რომელსაც ისინი იყენებენ მართლაც ვალიდური (მიზანთან შესაბამისია) და ობიექტურია. მათ გააზრებული აქვთ, რომ მოსწავლეებმა თავიანთი ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები უნდა იცოდნენ ზუსტად და იქამდე, სანამ დავალებაზე დაიწყებენ მუშაობას. მასწავლებლები ამ პრინციპით ხელმძღვანელობენ. სკოლაში ხდება შეფასების ძირითადი პრინციპების დაცვა. მოსწავლემ წინასწარ იცის, რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა. სკოლა გამოთქვამს მზაობას, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კიდევ უფრო დახვეწოს, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.

სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა, რომლსაც სკოლა გამოიყენებს, იქნება ვალიდური, შეფასების ძირითად მიზნებთან შესაბამისი. პედაგოგებთან გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ შეფასების სისტემა იქნება გამჭირვალე. სასკოლო საზოგადოებისთვის წინასწარ ცნობილი იქნება შეფასების კრიტერიუმები, კომპლექსური დავალების ბარათების პირობები. ზუსტად შერჩეული გასაზომი კრიტერიუმები უზრუნველყოფს მათ სანდოობას, კონკრეტულობა კი ხელს შეუწყობ მის ობიექტურობას და სამართლიანობას.

თვითშეფასების დოკუმენტიდან გამომდინარე, სკოლა გამოთქვამს მზაობას შეფასების რუბრიკები შეთანხმდეს კათედრებზე, მათ შემუშავებაში მონაწილეობა მიიღონ მოსწავლეებმაც. მოსწავლეთა მიღწევებისა თუ მასწავლებლის თვითრეფლექსიის ინსტრუმენტებად შეარჩევს შემოთავაზებულ ვერსიებს. დიაგნოსტირება ჩატარდება ორჯერ სასწავლო წლის განმავლობაში. ამ ყოველივესთან ერთად კომპლექსური დავალებებით მუშაობა ხელს შეუწყობს, რომ შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

რჩევა *- სასურველია, სკოლას გააჩნდეს შეფასების ერთიანი ინსტრუმენტები, რომელზეც სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი იქნება შეთანხმებული (ესთეტიკის მიმართულება)*

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სკოლის დირექცია და სკოლის შეფასების ჯგუფი ჩართულია შეფასების სისტემის მონიტორინგში. ხდება მოსწავლეთა შეფასების ანალიზი, კათედრა აანალიზებს შემაჯამებელ დავალებებს. ამ ეტაპზე სასკოლო სასწავლო გეგმა, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, არეგულირებს და განსაზღვრავს შეფასების ძირითად პრინციპებს და აკადემიურ პერსონალს სთავაზობს შეფასების სხვადასხვა სახის რუბრიკას. სკოლა გამოხატავს მზაობას ახლო მომავალში აამუშაოს შეფასების სისტემის ვერაფიკაციის ახალი მექანიზმი.
სკოლა ვერიფიკაციის მექანიზმში გეგმავს დაინტერესებული მხარეების ჩართვას: - დირექცია, შეფასების ჯგუფი, გაკვეთილზე დასწრებით დააკვირდება სხვადასხვა დავალების შეფასების შესაბამისობას ნამუშევართან. ასევე გამოყენებული იქნება კრიტიკული მეგობრის სტრატეგია და მშობელთა მოსაზრებები.
დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 05.08.2023-18.10.2023 სკოლაში შემუშავდა შეფასების სისტემის ვერფიკაციის მექანიზმი, რომელიც ასევე წარმოდგენილია მტკიცებულების სახით.
<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლა აწარმოებს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ მტკიცებულებების/ ინფორმაციის აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობის შესაბამისად (2013 წლის 22 აგვისტოს 113/ნ ბრძანება), რაც მტკიცდება ინტერვიუებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე. მოწესრიგებულია მოსწავლეთა პირადი საქმეები და შეტანილი არის წლიური ნიშნები. ხდება ელექტრონული ჟურნლის წარმოება. შემაჯამებელი დავალებები ინახება სკოლის კათედრებზე. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ;
- პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგები
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023 წლები.
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის დაწყებით საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.
- კომპლექსური დავალებები.
- განმავითარებელი დ ა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
- საგნობრივი ოქმი (რესურსი N12)
- საბუნებისმეტყველო კათედრის ოქმი N 2

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური, მოსწავლეზე ორიენტირებული უსაფრთხო, სამუშაო, თანამშრომლობითი, მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო სასწავლო პროცესში. კათედრებს და კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობა პოზიტიურ და კეთილგანწყობილ გარემოში ხორციელდება. ხელშემწყობ ფაქტორებს წარმოადგენს: შემოქმედებითი კომპლექსური ბუნების დავალებები, საინტერესო რესურსები; სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. წლის დასაწყისში ერთად შეიმუშავებენ სასკოლო სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციულ და კონცეპტუალური საკითხებს. მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს ნაწილია დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, შემუშავების და კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა. იგივეს ადასტურებს პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუები. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სკოლის თვითშეფასების კითხვარის თანახმად და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სკოლაში გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროება, ზრუნვასა და თანასწორობის პრინციპზე არის აგებულ უსაფრთხო გარემო. მოსწავლეები თავად ირჩევენ და განსაზღვრავენ საკუთარ ჩართულობას სასწავლო პროცესში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რაც დადებითად აისახება მათ აკადემიურ მიღწევებში. პროცესის კონსტრუქტივისტული მეთოდიკით დაგეგმვა გააძლიერებს მოსწავლეთა მოტივაციას. პედაგოგები აღნიშნავენ, მოსწავლეთა დაინტერესებას ისეთი დავალებებით, რომლებიც უკავშირდება მათ ცხოვრებისეულ გამოცდილებას. ამიტომ პედაგოგები სასწავლო პროცესის წარმართვისას ცდილობენ შეარჩიონ ისეთი თემები და კონტექსტმაგალითები, რომლებიც მოერგება მოსწავლეთა პიროვნულ, ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და მათ აკადემიურ შესაძლებლობებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმა ადასტურებს, რომ სკოლა ორინტირებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე. მოსწავლისათვის შეთავაზებული კომპლექსური ბუნების დავალებები საშუალებას მისცემს მათ გამოავლინონ ავტონომიურობა, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაციის უნარი.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ სწავლების დაწყებით საფეხურზე კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. პედაგოგები არჩევენ სასწავლო მეთოდებს, სწავლების ფორმებს, სტრატეგიებს, რომლებიც სწავლების პროცესში ეფექტიანია. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სკოლის თვითშეფასებიდან, გასაუბრებიდან, კათედრების ოქმებიდან ირკვევა, რომ სკოლა სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს შექმნას პირველ რიგში ცდილობს მასწავლებლებს შორის თანამშრომლობითი და მხარდამჭერი გარემოს ფორმირებით. მაგალითად, პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევების და პრობლემების გადასაწყვეტად. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, სხვა კათედრების მასწავლებლები თანამშრომლობენ კურიკულუმებზე, შეფასების რუბრიკებზე მუშაობისას, ერთობლივად აფასებენ და რეფლექსიის საფუძველზე იღებენ სასწავლო პროცესის განვითარებაზე ორიენტირებულ გადაწყვეტილებას. ამასთან ერთად, კათედრაზე შეხვედრებისას ანალიზდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობა, კონკრეტული გამოწვევები და პრობლემები. კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ ინდივიდუალურ გამოცდილებას ამა თუ იმ კლასში კომპლექსური დავალების განხორციელებისას წამოჭრილი პრობლემების შესახებ. კათედრის მუშაობა ეფუძნება კათედრის წევრებს შორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საუკეთესო გამოცდილების გაზიარებას, თანამშრომლობას როგორც კათედრის შიგნით ასევე კათედრებს შორის, წარმატების წინაპირობათა განსაზღვრას, კათედრის როგორც გუნდის ფუნქციონირებას, მშობლებთან აქტიურ კომუნიკაციას. სკოლაში არსებობს მშობლებთან პოზიტიური თანამშრომლობითი კულტურა.

სწავლების დაწყებით საფეხურზე სკოლაში თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას ხელს უწყობს ფორმალური და არაფორმალური განათლების კუთხით მუშაობა. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში აქვთ თანამშრომლობითი გარემო. სასწავლო წლის განმავლობაში სისტემატურად ხდება გამოცდილების გაზიარება, უკუკავშირი, მსჯელობა არსებულ პრობლემებსა თუ მიღწევებზე, გასაუმჯობესებელ მხარეებზე, აღნიშნულის გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესს და კოორდინირებულად მუშაობენ. მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მშობლებს შორის არსებობს სისტემატური კომუნიკაციის გამოცდილება, მაგალითად მასწავლებლები და მოსწავლეები ერთად ადგენენ შეფასების რუბრიკებს, რაც მიუთითებს სკოლაში არსებულ თანამშრომლობით კულტურაზე. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლის ადმინისტრაცია, თანამშრომლები, პედაგოგები სკოლაში ქმნიან უსაფრთხო და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ გარემოს. ბავშვების ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება თემატური ღონისძიებები. ყურადღება ექცევა პედაგოგთა და მოსწავლეთა საინტერესო აქტივობების წახალისებას.

მასწავლებლებთან გასაუბრებისას ჩანდა კოლეგებს შორის პოზიტიური დამოკიდებულება. სკოლის შიდა და გარე სივრცე კარგად არის მოწყობილი და მეტწილად შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. იგრძნობა სკოლის ადმინისტრაციის მზაობა პრობლემური საკითხების სათანადო დონეზე გადაჭრისთვის. სკოლაში არსებული და მოქმედი შინაგანაწესი, ხელმძღვანელობის დამოკიდებულება სასწავლო პროცესისა და პედკოლექტივის მიმართ უზრუნველყოფს პოზიტიური და მეგობრული გარემოს შექმნას როგორც სკოლის, ისე კლასის დონეზე. მისიისა და ხედვის შემუშავებაში თემის ჩართულობა, შემუშავების და კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა, ანგარიშვალდებულება სასკოლო საზოგადოების წინაშე, სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განვითარებაზე ერთობლივი პასუხისმგებლობა და ზრუნვა გაზრდის თემის და სრულიად სასკოლო საზოგადოების ურთიერთ ნდობას, პატივისცემას, მხარდაჭერას. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
- პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგები
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023 წლები.
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის დაწყებით საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.
- კომპლექსური დავალებები.
- საგნობრივი კათედრების ოქმები
- შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმა;
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

კურიკულუმის მონიტორინგი შეფასება განხორციელდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად; სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება სამი მიმართულებით: 1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; 2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება; 3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება მნიშვნელოვანია ის ფაქტო, რომ საგნობრივმა კათედრებმა შეარჩიეს დიაგნოსტირების მეთოდები, რომელთა შედეგების გაანალიზებით მოხდება კურიკულუმის განვითარებაზე ზრუნვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მაგალითად, ესთეტიკის მიმართულებით დიაგნოსტირებისთვის შერჩეულ იქნება ინსტრუმენტი „საკლასო წერა“; დიაგნოსტირება ჩატარდება წელიწადში ორჯერ პროცესებში დინამიკის დასანახად; გამოიკვლევენ მასწავლებელთა პროფესიულ საჭიროებებსა და მონაცემთა ანალიზის საფუძველზე დაგეგმავენ შემდგომ ნაბიჯებს, მოახდენენ მშობელთა გამოკითხვას ანკეტირებისა და ინტერვიუების საშუალებით და გაითვალისწინებენ მათ დამოკიდებულებებს. ზემოთ ნათქვამი ადასტურებს, რომ სკოლას გააზრებული აქვს და გამოხატავს მზაობას კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად წარმართონ.

მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მომავალი სასწვლო წლიდან მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>***

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის თანამშრომლობასთან. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება სამი მიმართულებით:

- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება სწავლის პროცესში დაგროვილი ხარვეზების გამოსავლენად ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით;
- სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება
- სკოლის ინსტიტუციური განვითარება.

მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში იგეგმება განხორციელდეს იმ ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების იდენტიფიცირება, სადაც შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობაა. ასევე მონიტორინგის მიზანი იქნება მასწავლებელს დაეხმაროს კურიკულუმის განხორციელებისას წარმოქმნილი პრობლემების იდენტიფიცირებაში ან მოიკვლიოს ის მატერიალური საჭიროებები, რომელიც აუცილებელია კურიკულუმის განვითარებისთვის და მისი შეძენით უზრუნველყოს მასწავლებლის მხარდაჭერა. კრიტიკული მეგობარი, ურთიერთდასწრება, გამოცდილების გაზიარება, მუშაობა მცირე ჯგუფებში - ეს ის აქტივობებია, რომელსაც სკოლა გეგმავს განახორციელოს სასკოლო საზოგადოების მხარდასაჭერად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელსაც ევალება პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.
სასკოლო საზოგადოება მომართულია ერთმანეთის დახმარებასა და მხარდაჭერაზე, ეს კი საწინდარია იმისა, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესიც იმავე მიზანს მოემსახურება. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>***

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

კურიკულუმის შემუშავების პროცესი ციკლურია და ამაში მოიაზრება მონიტორინგი და შეფასება, როგორც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალება. „სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით“, კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად;
- კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე;
- სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე;
- კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს;

როგორც მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან ხდება ნათელი, მონიტორინგის და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე განხორციელდება კურიკულუმის რევიზია და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც სასკოლო საზოგადების პრიორიტეტებზე იქნება ორიენტირებული. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
- პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგები
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023 წლები.
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.
- მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრის ანგარიში;
- კომპლექსური დავალებები.
- საგნობრივი კათედრების ოქმები
- შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმა;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სასკოლო კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, როგორც მეთოდოლოგიის ინსტრუმენტში არის აღნიშნული ინფორმაციის შეგროვება ხდება სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისაგან: ინფორმაცია გროვდება პედაგოგებზე დაკვირვების გზით, მათი პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით, მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებაში მიმდინარეობს სკოლის ინსტიტუციური განვითარების კვლევა თანამშრომლობითი პროცესების გაღრმავების მიზნით. შეფასების პროცესში ჩართული არის სკოლის კათედრები, დირექცია, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას და სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით: მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციის შეგროვება ხდება მრავალფეროვანი წყაროებიდან: მოსწავლე, თანატოლი, მშობელი, მასწავლებელი, დამრიგებელი. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

რჩევა *- სასურველია, ესთეტიკის მიმართულებით არჩეული, შემუშავებული და გამოყენებულ იქნას შეფასების ინსტრუმენტები არა მხოლოდ ცალკეული მოსწავლისა თუ კლასის მიღწევებისა თუ პრობლემების გამოსავლენად, არამედ - სასკოლო მასშტაბით, ჩატარდეს კვლევები გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით, შედგეს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები მოსწავლეთა თვითშეფასებისთვის, მასწავლებელთა თვითრეფლექსიისთვის, საჭიროებების გამოსაკვეთად და შემდგომი ინტერვენციების დასანერგად.*

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

სასკოლო კურიკულუმის შეფასება ხორციელდება მრავალფეროვანი კონტექსტების გათვალისწინებით. როგორც კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში არის აღნიშნული, დოკუმენტის განვითარების პროცესში სხვადასხვა მხარე არის ჩართული: მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები, დირექცია. მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, გამუდმებით უნდა ხდებოდეს აღწერა რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს შედეგი, კათედრის წევრები და დირექციის თანამშრომლობით; აქცენტი უნდა კეთდებოდეს რამდენიმე მნიშვნელოვან მიმართულებაზე: ინსტიტუციური განვითარება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, შედეგების დიაგნოსტირება და ა. შ .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სასკოლო სასწავლო გეგმაში ნათქვამია, რომ სკოლა მოსწავლეთა შეფასებისთვის იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ასევე პედაგოგებთან განხორციელებულმა ინტერვიუებმა გამოვლინა სკოლის მზაობა, კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესი ხორციელდებოდეს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით და მისი მიზანია მოსწავლეთა და მასწავლებელთა საჭიროებების გამოკვეთა და შემდგომი ინტერვენციების დანერგვა. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>***

რჩევა *- სასურველია , ესთეტიკის მიმართულებით , კურიკულუმის შეფასებისთვის შეირჩეს ან შეიქმნას და გამოყენებულ იქნას შესაბამისი ინსტრუმენტები , რომლებიც მიმართული იქნება გრძელვადიანი მიზნებისკენ,*

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი ინფორმაციის შეგროვების მიზნით: დაკვირვება, დიაგნოსტირება. კურიკულუმის მეთოდოლოგიით განსაზღვრული არის სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათგან უკუკავშირის მისაღებად სხვადასხვა არხების გამოყენება: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სკოლის Facebook-გვერდი, ბეჭდვითი სიტყვა, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

რჩევა *- კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასებისათვის, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ისეთი ინსტრუმენტი, როგორიცაა ე.წ. „Lesson Study“, რომელიც გულისხმობს მოსწავლეებზე დაკვირვებას, მოსწავლეთა ინტერვიუირებას, შესრულებულ დავალებათა ანალიზს, მონაცემთა სისტემატიზაციას, პრობლემების იდენტიფიცირებას, იდენტიფიცირებული პრობლემების მნიშვნელოვნების დადგენასა და მათ გადასაჭრელად ინტერვენციების დაგეგმვას. (ესთეტიკის მიმართულება).*

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმის მეთოდოლოგიის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმის შეფასების პროცესში ურთიერთდაკავშირებულად, სხავადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით ხდება კურიკულუმის დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. კვლევის ინტერესი არის შემდეგი მიმართულებები:

- მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება ესგ-ს დანერგვის პროცესში არსებული ხარვეზების გამოსავლენად და გადასაჭრელად.
- პედაგოგის პროფესიული საქმიანობის პროცესში გამოვლენილი პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის საკითხი.
- თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში.

შესაბამისად კვლევის ორიენტირი მოიცავს განსხვავებული კონტექსტებიდან ინფორმაციის შეგროვებას, და მრავალფეროვანი ფაქტორების გათვალისწინებას შეფასების პროცესში.

სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში ჩანდა რომ დაწესებულება გეგმავს კურიკულუმის შეფასებისას გაითვალისწინოს სხვადასხვა ფაქტორი: მოსწავლის აკადემიური დონე, მოსწავლის განვითარების დინამიკა, განვითარების პროცესი.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

რჩევა - კურიკულუმის შეფასებისას გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები: რამდენად ემყარება სწავლა-სწავლების პროცესი კონსტრუქტივისტულ პრინციპებს, რამდენად პოზიტიური გარემოა შექმნილი საკლასო ოთახში - მოსწავლის საჭიროებები რამდენადაა გააზრებული მასლოუს „მოთხოვნილებათა პირამიდის“ მიხედვით (ფიზიოლოგიური, უსაფრთხოების, სოციალური, პატივისცემის მოთხოვნილებები), რამდენად მკაფიოა და ცხადი კომპლექსური დავალების პირობა, რამდენად ადაპტირებულია სასწავლო რესურსები, რამდენად უწყობდა ხელს სხვადასხვა აქტივობები ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას. (ესთეტიკის მიმართულება)

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ;
- პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგები
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023 წლები.
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.
- კომპლექსური დავალებები.
- საგნობრივი კათედრების ოქმები

სასკოლო სასწავლო გეგმა
კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

როგორც სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიიდან ჩანს, კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; კურიკულუმის რევიზიისას გათვალისწინებული იქნება წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზის შედეგები, თუ რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს. თითოეული ზემოჩამოთვლილი საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად და რეკომენდაციების პაკეტს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის გასაახლებლად.

თვითშეფასების მიხედვით, სკოლა გეგმავს მოსწავლის პორტფოლიოს შექმნას და აქვს სურვილი ის კურიკულუმის განვითარების და მოდიფიცირების ინსტრუმენტად აქციოს. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

კურიკულუმის დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, ახალი კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა წლის სასკოლო კურიკულუმს დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

- მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების პროცესში მათი მონაწილეობის საკითხი.
- მოსწავლეთა შედეგები, რომელიც შეეხება წინა სასწავლო წელთან მოსწავლეთა მიღწევებში არსებულ ცვლილებებს.
- მშობლების ჩართულობა, კერძოდ რამდენად გაიაზრეს მათ სკოლის ფილოსოფია, მისი დაკავშირება საკუთარ შეხედულებებთან და პრიორიტეტებთან.
- კათედრები, მასწავლებელთა შორის თანამშრომლობის დანერგვის საკითხები.
- სკოლის დირექცია: სასწავლო პროცესის დაკავშირება სკოლაში მიმდინარე და მმართველობით პროცესებთან და სხვ.

სკოლის თვითშეფასებაში ასევე აღნიშნული არის , რომ ახალი კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინებენ წინა გამოცდილების ანალიზს და ასახავენ ახალ დოკუმენტში . ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .</u>***

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ;
- პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგები
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023 წლები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.
- კომპლექსური დავალებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლა გამოხატავს მზაობას კურიკულუმის შემუშავებაში ჩართოს სასკოლო საზოგადოება და განავითაროს მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით. გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები, რაშიც დაეხმარება კურიკულუმის შემუშავება/განვითარების ციკლური ხასიათი.
კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტი აღწერს: კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს, პრონციპებს, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი, კურიკულუმის განვითარების ეტაპებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის მიერ მოწოდებული სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმი შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად; სასკოლო საზოგადოება მთელი წლის მანძილზე ნერგავს შემუშავებულ კურიკულუმს, აკვირდება დანერგვის პროცესს, აანალიზებს დანერგვის შედეგებს და შეიმუშავებს სარეკომენდაციო პაკეტს ახალი სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმისათვის. სასკოლო კურიკულუმის შემუშავება/დანერგვა/მონიტორინგსა და სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართვა უზრუნველყოფს მათი ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. კურიკულუმის განახლება უნდა მოხდეს ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. პედაგოგებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ იგეგმება კიდევ უფრო გააქტიურდეს კათედრათაშორისი თანამშრომლობა, აქცენტი გაკეთდება მოსწავლეთა უნარების განვითარებაზე და ამ პროცესში ფართო სპექტრით ჩაერთვება სასკოლო საზოგადოება. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>***

რჩევა *-სასურველია, შემუშავებულ იქნას ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებას. (ესთეტიკის მიმართულება)*

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

საბაზო საფეხურზე მოქმედი საგნობრივი კათედრები ცდილობენ მოსწავლეთა და მასწავლებელთა აქტივობების საფუძველზე, ამ აქტივობების რეფლექსიით, ერთობლივ შეხვედრებზე მოსწავლეთა მიღწევებისა და გამოწვევების განხილვა-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ანალიზით, შეძლებისდაგვარად გამოკვეთონ სასკოლო საზოგადოების ინტერესები. სკოლა თანამშრომლობს მშობელთა აუდიტორიასთან. როგორც კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტით და გასაუბრების შედეგებით ირკვევა, დაგეგემილია თითოეული კლასის დამრიგებლის მიერ მშობელთა ინტერვიუებისა და გამოკითხვების ჩატარება სასკოლო საზოგადოების გეგმებისა და სკოლის სასწავლო-აკადემიური პრიორიტეტების შესახებ.

კურიკულუმებში არსებული მოცემულობა ნათლად პასუხობს მნიშვნელოვან შეკითხვებს სასწავლო პროცესში მონაწილე სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებს კერძოდ, მასწავლებლებს რას, როგორ, რაზე დაყრდნობით ასწავლიან, მოსწავლეებს/მშობლებს რას, როგორ რის საფუძველზე შეისწავლიან. როგორც მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან ჩანს, ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა, სკოლის დირექცია. კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. კურიკულუმში ითვალისწინებენ მოსწავლის მზაობას, წინარე ცოდნას და შესაძლებლობებს.

კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. მაგალითად, საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ ინგლისური ენის საგნობრივ კურიკულუმებში თემები, დავალებები, რესურსები, ძირითადი კონტექსტ მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის კორელაციაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. კურიკულუმებში (რუსული ენა , ინგლისური ენა) შეტანილი თემები მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. და პასუხობს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

რჩევა *- სასურველია სკოლას გააჩნდეს შესაბამისი ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც სისტემურად მოხდება სასკოლო საზოგადოების არა მხოლოდ ინფორმირებულობა, არამედ უზრუნველყოფილი იქნება სასკოლო საზოგადოების ყველა ჯგუფის ინტერესების ასახვა და გათვალისწინება (ესთეტიკა)*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე, საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებაში ჩართული იყო საგნობრივი კათედრები და დირექცია. კათედრის შეხვედრაზე მასწავლებლები ერთობლივად შეიმუშავებენ საგნობრივ კურიკულუმებს. სწორედ რომ მთელი წლის მანძილზე დაგროვებული გამოცდილების გათვალისწინებით კერძოდ მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით ხდება კურიკულუმის შემუშავება, განვითარება. სკოლის პედაგოგები მოტივირებულნი არიან, ადმინისტრაციასთან, სასკოლო საზოგადოების წევრებთან ერთად ჩაერთონ საგნობრივი და ზოგადად სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში; სურვილი აქვთ ამ პროცესში ჩართონ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი, რათა ერთობლივად გააანალიზონ, როგორც საკუთარი გამოცდილება, ასევე ის პრიორიტეტები, რომელთა გათვალისწინებაც კურიკულუმის შემუშავებისას ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოების როლისა და ფუნქციის გააზრებას.

მაგალითად, საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობას იღებს მთლიანად კათედრა და არა ერთი მასწავლებელი. სკოლა გამოთქვამს მზაობას, რომ მომავალში საბაზო საფეხურის კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლეების და მშობლის აქტიური ჩართულობა. დაგეგმილია კვლევის ჩატარება, სადაც გამოიკვეთება მოსწავლეების და მშობლების დამოკიდებულება კომპლექსური დავალებების მიმართებით. კვლევის შედეგები გათვალისწინებული იქნება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საბაზო საფეხურის კონცეპტულური ჩარჩოს შემუშავებაში. კურიკულუმის საბოლოო ვარიანტს საბუნებისმეტყველო საგნების მიხედვით მასწავლებლები გააცნობენ სასკოლო საზოგადოებას. სასწავლო პროცესის დაგეგმვაში ჩართული იქნება სასკოლო საზოგადოება. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

რჩევა *- სასურველია, სხვადასხვა კათედრის წევრებმა ერთობლივად შემქნან ინსტრუმენტი, რომელიც იქნება ღია და ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის და კურიკულუმში გათვალისწინებული იქნება ყველა მათგანის მოსაზრებები. (ესთეტიკის მიმართულება).*

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

საბაზო საფეხურის კურიკულუმის გაზიარება მოხდება სასკოლო საზოგადოების მიერ შემდეგი საკომუნიკაციო არხების საშუალებით: ელქტრონული ფოსტა; სოციალური მედია, საჯარო ღონისძიებები- ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. კურიკულუმის მიხედვით შემუშავებული საკითხების ხელმისაწვდომობისათვის სკოლა გეგმავს ინფორმაციის განთავსებას საკუთარ ვებ გვერდზე, სოციალურ ქსელში არსებულ გვერდზე და Teams პლატფორმაზე. ასევე იგეგმება ბუკლეტების შექმნა როგორც მატერიალური, ასევე ელექტრული ფორმით. აღნიშნულ ბუკლეტებში განათავსებენ ინფორმაციას სასწავლო კურიკულუმების შესახებ. ამასთან, სკოლა გეგმავს ფიზიკურ გარემოში პირისპირ შეხვედრებს, სადაც სასკოლო საზოგადოებას მიეწოდება ინფორმაცია საბაზო საფეხურზე არსებული სასწავლო კურიკულუმის შესახებ, მაგალითად საბუნებისმეტყველო მიმართულებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმების შემუშავებაში ჩართული იყო სკოლის ყველა მასწავლებელი და დირექცია. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>*** .

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ;
- პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგები.
- მშობელთა კრების ოქმები.
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- კომპლექსური დავალებები.

2.1.3. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით, სასწავლო პროცესში უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლთა შესრულებასაც მოსწავლის ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება. კურიკულუმებში წარმოდგენილია გზა, რომელსაც მოსწავლე გადის საფეხურის ფარგლებში. მასწავლებლებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ ისინი ითვალისწინებენ შესაბამისი კლასების მოსწავლეთა საჭიროებებს და მათზე მორგებულ აქტივობებს გეგმავენ.

შემუშავებული კურიკულუმები მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა კომპლექსური ბუნების დავალებების ფარგლებში (თუმცა არის თემები, რომლის ფარგლებში არ არის წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები). მაგ. ინგლისური ენის საბაზო საფეხური კურიკულუმებში წარმოდგენილია დავალებები, რომლებიც მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა კომპლექსური ბუნების დავალებების ფარგლებში (თუმცა არის თემები, რომლის ფარგლებში არ არის წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები). მაგ. „წერილობითი ანგარიში საზაფხულო ბანაკიდან: წარმოიდგინეთ, რომ ხართ საზაფხულო ბანაკში ჯგუფის ლიდერი. წარმოადგინეთ ანგარიში, სადაც აღწერთ თქვენი ჯგუფის მიერ განხორციელებლ აქტივობებს“

საბაზო საფეხურის წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილია ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით. ფიზიკური აღზრდის კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალეროვანი თემები - მძლეოსნობა, ფრენბურთი, ფეხბურთი, კალათბურთი, ხელბურთი, ძალისმიერი ვარჯიშები, ოლიმპიზმი, ლაშქრობა. ყველა თემის ფარგლებში გაწერილია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკურ განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლი და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .</u>***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებები და კომპლექსური დავალებების წარდგენის პროცესი თავისთავად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, ხელს უწყობს მოსწავლეში გლობალური ფუნქციური უნარების: კომუნიკაციის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, ინფორმაციის ნათლად გადმოცემას. კომპლექსური დავალების გადაჭრა მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას, პრობლემის იდენტიფიცირებას და მისი გადაჭრის გზები ძიებას, წარდგენის პროცესი კი კომუნიკაციას. სკოლას შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გააზრებული აქვს გრძელვადიან მიზნებად, ხოლო გლობალურ ფუნქციურ უნარებს (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (ეთიკა, პასუხისმგებლობა), ხასიათი (ნება) განიხილავს პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად. ჩანს კორელაცია გრძელვადიან მიზნებსა და დანერგვის (დაგეგმვა, შეფასება) ინსტრუმენტებს შორის.

სახელმწიფო ენაში, VII-IX კლასების კურიკულუმში წარმოდგენილი სასწავლო მასალა - მხატვრული ტექსტები, საბაზო საფეხურისთვის შერჩეული სავალდებულო ტექსტები, თემები, კომპლექსური ბუნების დავალებები ეხმარება მოსწავლეს კონკრეტული იდეების, პრობლემების გაცნობიერებასა და განზოგადებაში. რამდენიმე კომლექსური დავალების პირობა და მასწავლებელთა მხრიდან ამ დავალების შესასრულებლად გამოყენებული აქტივობები, სკოლაში შექმნილი პოზიტიური გარემო შესაძლებლობას იძლევა ხელი შეეწყოს მოსწავლეთა ფუნქციურ - კომპეტენტური უნარების განვითარებას.

საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისკენ. ყველა სავალდებულო თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები და შედეგები. ჩანს ამ ცნებების იერარქიული კავშირი ერთმანთთან, ქვეცნებებთან და საკითხებთან. თითოეული თემის ფარგლებში წარმოდგენილია საკითხი/საკითხთა კლასტერი, რომელიც თემის შინაარს აკონკრეტებს, ამუშავებს სამიზნე ცნებებს, რომელიც საბოლოოდ ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზაღვრული გრძელვადიანი მიზნების შესრულებას (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკროცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

რჩევა *- სასურველია, ესთეტიკის საგნებში მასწავლებელთა თვითრეფლექსიის ინსტრუმენტის გამოყენება, ასევე კათედრათა თანამშრომლობა სხვადასხვა პროექტებისა თუ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩასატრებლად.*

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

კათედრების მიერ შემოთავაზებული რესურსები და სასწავლო მასალა იძლევა მოსწავლის ჩართულობის შესაძლებლობას. გასაუბრებაზე პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მათთვის მნიშვნელოვანია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური ფსიქო-ემოციური თავისებურებების მიხედვით კომპლექსური დავალებების შეძლებისდაგვარად მოდიფიცირება და ზოგადად სასწავლო პროცესში ინკლუზიური მიდგომების გამოყენება. სასწავლო პროცესში გათვალისწინებული იქნება დიფერენცირებულ მიდგომები, სკოლა მოახდენს სასწავლო გარემოს, სასწავლო მასალების, რესურსების მოდიფიცირებას.
კურიკულუმში მოცემული დავალებები მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებებით. შემოთავაზებული რესურსები და სასწავლო მასალა იძლევა მოსწავლის მაქსიმალური ჩართულობის საშუალებას.
მაგალითად, ინტერვიუს დროს სპორტის მასწავლებლებმა ისაუბრეს დიფერენცირებულ მიდგომებზე. სკოლა მცირეკონტინგენტიანია (სულ 16 მოსწავლე), თითო კლასში სწავლობს 1-3 მოსწავლე. სწავლების პროცესში გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები და საჭიროებები. ამ ეტაპზე სკოლას არ ყავს სსსმ მოსწავლეები.
ზოგადად, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა გამოთქვამს მზაობას, გამოიყენონ დიფერენცირებული მიდგომები, სასწავლო მასალების, რესურსების მოდიფიცირებული ვერსიები. ამ ეტაპზე სკოლაში არ სწავლობს არც ერთი სსსმ მოსწავლე, თუმცა ასეთის არსებობის შემთხვევაში შედგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.
სკოლას აქვს ინკლუზიის სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია ინკლუზიური განათლების განვითარების და გაძლიერებისათვის მიზნები და აქტივობები. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რჩევა *- სასურველია, სკოლას ჰქონდეს კომუნიკაცია ინკლუზიური განათების სპეციალისტებთან, რათა საჭიროების შემთხვევაში შეიქმნას კომპლექსური დავალებების ადაპტირებული ვერსიები.(ესთეტიკის მიმართულება)*

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სკოლამ კომპლექსური დავალების პირობაზე დაყრდნობით წარმოადგინა საბაზო საფეხურის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი დოკუმენტების / ნიმუშები საშუალებას იძლევა, რომ ვთქვათ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს, გარდა ამისა, ზოგად წარმოდგენას ქმნის, საფეხურის ფარგლებში შეფასების აღნიშნული ტიპის წარმოების წესზე. როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასება მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ მიღწევის ინდიკატორებს და დამიზნებულია როგორც შუალედურ, ასევე გრძელვადიან მიზნებზე, გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები.
მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებები იძლევა საშუალებას გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად; სკოლა გეგმავს, რომ მომავალი 2023-2024 სასწავლო წლისთვის გეგმავს განმავითარებელი შეფასების გარდა გამოიყენოს განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელი (თვითშეფასების კითხვარშიც აღნიშნულია), თანამედროვე მიდგომების შესაბამისად შემუშავებული იქნება განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგანში საბაზო საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით გვაქვს მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. ამ ეტაპზე ფიზიკური აღზრდის პედაგოგები იყენებენ სიტყვიერ განმავითარებელ შეფასებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მაგალითები, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. წარმოდგენილ დოკუმენტში გაწერილია მოსწავლეების შედეგების დიაგნისტირება, განმავითარებელი კომენტარი შემდგომი პროგრესის ხელშესაწყობად, მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მასწავლებლის თვითშეფასების კრიტერიუმები. წერილობით კომენტარები დაეხმარებათ მასწავლებლებს თითოეული ბავშვის ფიზიკურ განვითარებაზე უფრო სიღრმისეული წარმოდგენის შექმნაში და მისი პროგრესის დაფიქსირებაში.
აღსანიშნავია, სკოლის თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულება იყენებდა განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან რუკრუკებს, როგორიცაა: ურთიერთშეფასება, თვითშეფასება, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები, სოლო ტაქსონომია და სხვ. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

რჩევა *- სასურველია, შეფასების რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი, მიმართული იყოს გრძელვადიანი მიზნებისაკენ. (ესთეტიკის მიმართულება)*

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, სადაც აღნიშნულია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებამდე ხდება წინა წლის განვლილი სასწავლო პროცესის გაანალიზება. საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას კათედრებზე ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებებსა და გამოწვევებს როგორიცაა: მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზი; მოსწავლეების, კოლეგების, მშობლების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგებს.
თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ მასწავლებლები აანალიზებენ გავლილი სასწავლო წლის გამოცდილებას და უზიარებენ ერთმანეთს კათედრის და პედსაბჭოს სხდომებზე. ასევე, ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ, რომ მასწავლებლები დიდ ყურადღებას აქცევენ წარმატებულ გამოცდილებას, წინარე ცოდნას და პროცესი ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე. სკოლის კითხვარში გამოთქმულია მზაობა, რომ მოხდება მოსწავლეთა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მშობელთა გამოკითხვა, დაინერგება ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა პედაგოგიური პრაქტიკის რეფლექსია და თემატური მატრიცის ანალიზი, იმისთვის, რომ მომავალი კურიკულუმი დაეფუძნოს წინარე გამოცდილებას.
მაგალითად, სახელმწიფო ენაში სკოლის მიერ მოწოდებული საბაზო საფეხურის კომპლექსური დავალებების ნიმუშები და ამ ნიმუშების მოკლე რეფლექსია ინტერვიურებისას მიანიშნებს იმაზე, რომ კათედრა, პედაგოგები შეძლებისდაგვარად იაზრებენ, საგნის სწავლების მიზნებსა და ფუნქციას. წინა სასწავლო წლის კურიკულუმის ანალიზისას მიღებულ გამოცდილებას ასახავენ ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში.
სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის დანერგვის მეთოდოლოგია, კომპლექსური დავალების ნიმუშები, კურიკულუმის ჩარჩოები ასახავს წინარე გამოცდილების გათვალისწინებას, ადასტურებს, რომ სკოლას შეუძლია დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს წინარე გამოცდილება, მოახდინოს მისი ანალიზი და გაითვალისწინოს მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებაში. აღნიშნულს ადასტურებს პედაგოგებთან წარმოებული ინტერვიუებიც. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ;
- პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგები
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023 წლები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.
- საბაზო საფეხურის კომპლექსური დავალებები.
- საბაზო საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
- საგნობრივი კათედრების ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 კურიკულუმის განხორციელება

1.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი თემები, კომლექსური დავალებების იდეები, ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციისა და შემოქმედებითი უნარის გაღვივებასა და განვითარებას. ინტერვიუირებისას პედაგოგებმა ისაუბრეს სხვადასხვა კლასში შექმნილი კომპლექსური დავალების შემოქმედებით ნიუანსებზე და ასპექტებზე, დაასაბუთეს როგორ უწყობს ხელს ეს დავალებები მოსწავლეთა დაინტერესებასა და მათ სასწავლო პროცესში ჩართულობას.

დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა, ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიემართება სამიზნე ცნებების გააზრებამდე. მაგ. საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პედაგოგთან ზეპირი გასაუბრებისას გაირკვა, რომ წინა სასწავლო წელს ფიზიკაში განხორციელდა კომპლექსური დავალება, რომლის პროდუქტი იყო კვლევითი ნაშრომი. ფიზიკურ აღზრდაში სკოლის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი პრაქტიკული (მძლეოსნობა, კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი, ხელბურთი, ლაშქრობა) და თეორიული (ოლიმპიმი) შინაარსის თემები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. უცხოურ ენებში საინტერესო კომპლექსური დავალებები უბიძგებს მოსწავლეს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობისკენ, მაგ. „მოამზადე პრეზენტაცია თემაზე: ინოვაციური აღმოჩენები, გამოგონებები შექმენი შენთვის საინტერესო და ინოვაციური აღმოჩენა გამოგონებების ვირტუალური ტური მუზეუმში. მოამზადე პრეზენტაცია და წარადგინე კლასის წინაშე“

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებები არის ცხოვრებისეული სიტუაციის ამსახველი, რომლის მიხედვითაც მოსწავლეს უწევს პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ალტერნატივების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შემუშავება და არჩევანის გაკეთება, რაც თავისთავად უზრუნველყოფს მოსწავლის მოტივაციას და შემოქმედებით პროცესებში ჩართვას. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

რჩევა- *სპორტისა და ფიზიკური აღზრდის სწავლებაში შესთავაზოს მოსწავლეებს მრავალფეროვანი პროექტები, საინტერესო თეორიული თემები , მაგ. გამოჩენილი სპორტსმენების შესახებ.*

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები მოსწავლისთვის არის ნაცნობი კონტექსტი, რომელიც ეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში და გააზრებაში. ასევე მოცემული თემები სთავაზობენ მოსწავლეებს აზრიან, შინაარსიან კონტექსტებს, რაც მნიშვნელოვანია მოსწავლის შემეცნების სუბიექტად გადაქცევისა და მისი შინაგანი ძალების გააქტიურებისთვის.
პედაგოგთა რეფლექსია (გასაუბრება) სასწავლო პროცესის შესახებ საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ მართებულად ესმით მოსწავლეთა წინარე გამოცდილების, როგორც სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტის არსი და დანიშნულება.
მაგალითად, საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ჩარჩოებიდან ჩანს, რომ პროცესი თემატურადაა დაგეგმილი. ამასთანავე, კურიკულუმების მიხედვით სწავლა-სწავლების პროცესი ერთ-ერთ ძირითად რესურსად წარმოდგენილია გრიფირებული სახელმძღვანელოები, რაც ნიშნავს, რომ სწავლების პროცესში ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. მასწავლებლები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ ცოდნის გააქტიურება ხდება ისეთი აქტივობებით, როგორიცაა კითხვა-პასუხი, გონებრივი იერიში, ასოციაციური რუკა და ა. შ. ცოდნა იგება მარტივიდან რთულისკენ. მასწავლებლებს აქვთ მზაობა, ახალი თემატური მატრიცა შექმნან ისე, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება მოხდეს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ასევე სპორტსა და ფიზიკურ აღზრდაში წარმოდგენილი კურიკულუმებში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს პრინციპები ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ. საბაზო საფეხურის კურიკულუმის თემები ეყრდნობა დაწყებით საფეხურზე გავლილ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აქტივობებს, მაგალითად, დაწყებით საფეხურზე ერთ-ერთი თემაა - გასართობი თამაში ხელბურთის ელემენტებით, საბაზო საფეხურზე კი - ხელბურთი.

საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლემ წინარე ცოდნის გააქტიურება და მასზე დაფუძნებით ახალი ცოდნის კონსტრუირება შეძლოს. კომპლექსური დავალებებისა და სასკოლო პროექტის მიზნები და შინაარსი მოსწავლეებს პრაქტიკულ და ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან პარალელების გავლების უნარებს უვითარებს. კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობა მოსწავლეს საშუალებას მისცემს სწავლა-სწავლების პროცესში ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით და ა. შ. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი ორიენტირებულები არიან იკვლიონ მოსწავლეთა წინარე ცოდნა, რომელსაც გაითვალისწინებენ მოსწავლეების ცოდნის აგების პროცესში. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .</u>***

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებები შეიცავს საკვანძო შეკითხვებს, რომლებიც ლაიტმოტივად გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს. დავალებაზე მუშაობის პროცესი იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილებისა და ცნობისმოყვარეობის წახალისების შესაძლებლობას. მეტაკოგნიციის განვითარებას ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ დავალებების პრეზენტაცია, რომლის დროსაც მოსწავლე ადარებს მის დავალებას წინასწარ დასახულ კრიტერიუმებთან, ახდენს რეფლექსიას მის მიერ შესრულებულ სამუშაოზე: რა გამოუვიდა კარგად, რატომ, რა იყო ის ცოდნა და გამოცდილება, რამაც წარმატება მოუტანა, რა ვერ შეძლო, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა წარმატების გზაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მაგალითად მათემატიკის მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად და წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ ისინი მზად არიან გამოიყენონ მოსწავლეებში მეტაკოგნიციის, კომპონენტური უნარების განვითარების სტრატეგიები, რომელიც არსებით როლს ასრულებს ინფორმაციის გადამუშავებისა და ცოდნად გარდაქმნის პროცესში. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ საფეხურის შესაბამისი საკვანძო შეკითხვები, თემის გასააზრებლად მიმართული ღია შეკითხვები, კონკრეტული აქტივობები რომელიც სწავლის-სწავლის სტრატეგიების ათვისებას შეუწყობს ხელს. თუმცა ამ ეტაპზე ინდიკატორი ვერ ფასდება სრულყოფილად, პირველადი ავტორიზაციის გამო. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .***

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებები წარმოადგენს ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითებს. კომპლექსური ბუნების დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას. ეცნობა ინფორმაციებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან არამედ დამატებით სხვა წყაროებიდანაც (დეკლარატიული ცოდნა), სვამს და პასუხობს შეკითხვებს მასალასთან დაკავშირებით. ახორციელებს გარკვეულ ქმედებებს(პროცედურული ცოდნა) და დასკვნით ეტაპზე ახდენს ცოდნის მოქმედებაში გადატანას ქმნის საბოლოო პროდუქტს.

მაგ. უცხო ენებში პოსტერის პრეზენტაცია თემაზე, „რობოტის დიზაინი მაღალტექნოლოგიური სასტუმროსთვის“: წარმოიდგინე სიტუაცია, რომ გამოცხადებულია ტენდერი მაღალ ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასტუმროსთვის მომსახურე პერსონალი რობოტის შესაქმნელად. შენ სურვილი გაქვს მონაწილეობა მიიღო აღნიშნულ ტენდერში. გაეცანი სასკოლო სახელმძღვანელოში მოცემულ სტატიას/ ვიდოეს A Warm Welcome from EMIEW3 და მასზე დაყრდნობით, მის მსგავსად შექმენი რობოტის დიზანის ამსახველი პოსტერი და წარადგინე იგი კლასის წინაშე“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თვითშეფასების განაცხადის მიხედვით და გასაუბრებაზე დაყრდნობით ჩანს, პედაგოგები იაზრებენ საგაკვეთილო პროცესში განხორციელებული აქტივობების დანიშნულებას, მათ ფუნქციას ცოდნის სამივე კატეგორიის გასააქტიურებლად. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესში ყურადღება მახვილდება ცოდნის სამივე კატეგორიის დაუფლებაზე. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების - თემის, საგნობრივი საკითხების, ცნებებისა და დავალების პირობის ურთიერთკავშირი საშუალებას აძლევთ ხელი შეუწყონ მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებასა და ზოგადად სამიზნე ცოდნის კონსტრუირებას სასწავლო პროცესში.

საბაზო საფეხურის ინგლისური ენის კურიკულუმებში არსებული კომპლექსური ბუნების დავალებები იძლევა სურათს თუ როგორ ხდება სხვადასხვა ცოდნათა ორგანიზება და დაკავშირება დავალების პროდუქტის შესაქმნელად. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული თემები არის მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნას, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. თემა ქმნის მოსწავლის პიროვნულ მოქმედების არეალს. რადგან შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის, იწყებს ფიქრს პრობლემაზე, გამოწვევაზე და თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას , რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია.

სკოლა თვითშეფასების კითხვარში აღნიშნავს, რომ გეგმავს გააძლიეროს საგანთა შორის ინტეგრაცია, შესაბამისად, კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები დაიგეგმება ისე, რომ ხელი შეეწყოს მოსწავლეებში გააზრებას, დამახსოვრებას და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობას. შერჩეული იქნება ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლის ცოდნის დაკავშირებას ყოველდღიურ ცხოვრებასთან.

მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ გეგმავენ საგნობრივი კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად ასწავლონ, რადგან ჩარჩოს მიხედვით გაწერილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებული იქნება პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე. ეს კი გააქტიურებს მოსწავლეებში ისეთ უნარებს, რომელიც მათ საშუალებას მისცემს მიღებული ცოდნა პრაქტიკაში გამოიყენონ. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ;
- პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგები
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის დაწყებით საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.
- პროექტის გეგმა
- კომპლექსური დავალებები.
- საბაზო საფეხურის განმავითარებელი / განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
- საგნობრივი ოქმი (რესურსი N12)

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

საგნობრივი კათედრები და პედაგოგები, სამიზნე ცნებების, თემების, საგნობრივი საკითხების, საფეხურის საკვანძო შეკითხვების ურთიერთკავშირს, იაზრებს სასწავლო პროცესის კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე აგების ძირითადად საგანმანათლებლო პრინციპად და საშუალებად. სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში თემები ჩაშლილია საკითხებად, თითოეულ თემასთან მიმართებით მუშავდება სამიზნე ცნებები. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. სკოლისთვის სამიზნე ცნება, რომელსაც აზუსტებს მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებები და საფეხურის საკვანძო შეკითხვები არის მთავარი ორიენტირი, რომელსაც სწავლა სწავლების პროცესი მიემართება. საფეხურის შედეგებითა და სამიზნე ცნებებით განსაზღვრულია ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლე მათემატიკის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. ამ ცოდნისკენ სვლა კი მოსწავლეზე ორიენტირებული, კონსტრუქტივისტული სიღრმისეული სწავლის მიდგომებით იგეგმება, რაც საშუალებას მისცემს სკოლას დაეხმაროს მოსწავლეებს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაში საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.
მაგალითად, სკოლის ფიზიკური აღზრდის საბაზო საფეხურის კომპლექსური დავალებების მაგალითები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნებების და მათი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში გაწერილია საბუნებისმეტყველო საგნების სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. ამასთან, სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან ირკვევა, რომ მომავალში სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იქნება გააზრებული კავშირი შესასწავლ სავალდებულო თემას, სამიზნე ცნებასა, მის მკვიდრ წარმოდგენებს საგნობრივ საკითხებს და სასწავლო რესურსებს შორის. ყოველივე ეს უზრუნველყოფილი იქნება კომპლექსური დავალებებით. უნდა აღინიშნოს, რომ ესთეტიკის საგნებში საკითხების, თემების, თემატური ბლოკების ურთიერთმიმართება დასახვეწია. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

რჩევა *- ესთეტიკის საგნების მიმართულებით, მნიშვნელოვანია სამომავლოდ საბაზო საფეხურის ყველა კლასში დაიგეგმოს კომპლექსური დავალებები, თემები და საკითხები მიესადაგებოდეს ერთმანეთს ხოლო ორივე ერთად თემატურ ბლოკებს.*
რჩევა *კომპლექსური დავალებები უცხოურ ენებში შემავალ ყველა საგანში უნდა იყოს შემუშავებული*

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

საბაზო საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული თემები წარმოადგენს მოსწავლისთვის ნაცნობ, აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რომელიც ახდენს მის შინაგანი ძალების გააქტიურებას. უზრუნველყოფს მის აქტიურ ჩართულობას, რაც დავალებაზე მუშაობის პროცესში ხეს უწყობს მრავალფეროვანი უნარების ჩამოყალიბებას. სკოლისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლის ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მართვა. კომპლექსური დავალებების შექმნისას / შერჩევისას, პედაგოგები ითვალისწინებდნენ მოსწავლეთა ინტერესებს, უნარებს, წინარე ცოდნას. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში საგნობრივი კონტექსტები ისეა შერჩეული, რომ გათვალისწინებული იყოს მოსწავლის პირადი გამოცდილება, ინტერესები, ასაკობრივი თავისებურებები, რაც ბავშვებს უმაღლებთ მოტივაციას და ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ, ემოციურ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.
საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი მოსწავლეს უვითარებს ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის, სისტემური აზროვნების, სოციალურ და თანამშრომლობით უნარებს. სკოლა აცნობიერებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რომ სწავლა-სწავლების პროცესი უნდა ემსახურებოდეს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ ჯანსაღ განვითარებას. აღნიშნული ხელს უწყობს პიროვნების საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას. შესაბამისად, სკოლა გამოთქვამს მზაობას, საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნებში ისე დაიგეგმოს კომპლექსური დავალებები, რომ სასწავლო პროცესი პირდაპირ იქნეს მიმართული მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარებისკენ. ამ მიზნით, სწავლა-სწავლების პროცესში მოხდება ეფექტური თანამშრომლობა დამრიგებლებთან და დაიგეგმება არაფორმალური განათლების ხელისშემწყობი ღონისძიებები. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

საბაზო საფეხურზე იყენებენ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება გულისხმობს ა) მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირებას; ბ)კომენტარს (დაზუსტება, წახალისება, შენიშვნა), რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის შემდგომ წინსვლას გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით; გ)მოსწავლის თვითშეფასებას; დ) მასწავლებლის თვითრეფლექსიას. მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება ხდება კათედრებზე.

2023-2024 საწავლო წლის განმავლობაში კათედრები გეგმავენ დააკვირდნენ მოსწავლეებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში, დაკვირვების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაგეგმავენ ინტერვენციებს. სკოლა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს, ხოლო 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა ირჩევს განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელს.

საბაზო საფეხურის კათედრა შეფასების სხვადასხვა ფორმებსა და ინსტრუმენტებს გამოიყენებს მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარებისთვის. სკოლა/კათედრები ცდილობენ მოსწავლეები ფორმალური და არაფორმალური აქტივობებით ჩართონ სასწავლო პროცესში. კათედრა შეიმუშავებს და დახვეწს განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, შემლებისდაგვარად დააკვირდება და გააანალიზებს მოსწავლის განვითარების სხვადასხვა სფეროს.

სკოლამ, მაგალითად, წარმოადგინა შემუშავებული შეფასების რუბრიკები როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი. შეფასების რუბრიკებით ფასდება სამივე სამიზნე ცნება მათემატიკაში და მიმართულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

როგორც ესთეტიკის საგნობრივი მიმართულების პედაგოგებმა განაცხადეს, მომავალში უფრო სისტემურად შემუშავდება სხვადასხვა სახეობის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც მასწავლებელს საშუალებას მისცემს ჰოლისტურად განიხილოს ბავშვის როგორც კოგნიტური, ასევე ფსიქო-ემოციური განვითარება. მოსწავლის ჰოლისტური შეფასების პრინციპები ჩართულია კომპლექსური დავალებების შეფასების ინდიკატორებშიც, რაც გულისხმობს სამი ტიპის ცოდნის გამთლიანებას. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

4 . შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სკოლას აქვს როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით განმავითარებელი შეფასების წარმოების პრაქტიკა, სკოლას შემუშავებული აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და მოსწავლეების მიღწევების აღწერას გეგმავენ ამ რუბრიკების საფუძველზე. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შემაჯამებელი დავალებების შეფასების რუბრიკები გამოიკვრება საკლასო სივრცეში. კომპლექსური დავალებებისთვის და შეფასების რუბრიკებისთვის შემუშავდება ისეთი შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე შეფასების სისტემის დანერგვას შეუწყობს ხელს. პედაგოგები შეეცდებიან თავიანთი პრაქტიკული გამოცდილება დახვეწონ ამ კუთხით და შეფასების სისტემა გამოიყენონ მოსწავლეთა ცოდნის განსაზღვრისათვის და ეფექტური უკუკავშირისათვის.
მაგალითად, მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ შეფასება, რომელსაც ისინი იყენებენ საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნებში, მართლაც ვალიდური (მიზანთან შესაბამისია) და ობიექტურია. მათ გააზრებული აქვთ, რომ მოსწავლეებმა თავიანთი ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები უნდა იცოდნენ ზუსტად და იქამდე, სანამ დავალებაზე დაიწყებენ მუშაობას. მასწავლებლები ამ პრინციპით ხელმძღვანელობენ. სკოლაში ხდება შეფასების ძირითადი პრინციპების დაცვა. მოსწავლემ წინასწარ იცის, რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა. მიუხედავად ამისა, შესაბამისად, სკოლა გამოთქვამს მზაობას, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კიდევ უფრო დაიხვეწოს, მოიყვანოს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობაში - სასკოლო საზოგადოებას და პირველ რიგში მოსწავლეს უნდა ჰქონდეს განცდა, რომ მას აფასებენ ობიექტურად, სამართლიანად და სანდოდ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ შეფასების რუბრიკები გამოკრული იქნება საკლასო ოთახებში და ხელმისაწვდომი იქნება ყველასთვის.

თვითშეფასების დოკუმენტიდან გამომდინარე, სკოლა გამოთქვამს მზაობას შეფასების რუბრიკები შეთანხმდეს კათედრებზე, მათ შემუშავებაში მონაწილეობა მიიღონ მოსწავლეებმაც. მოსწავლეთა მიღწევებისა თუ მასწავლებლის თვითრეფლექსიის ინსტრუმენტებად შეარჩევს შემოთავაზებულ ვერსიებს. გარდა ამისა, წელიწადში ორჯერ ჩატარდება დიაგნოსტირება. ამ ყოველივესთან ერთად, კომპლექსური დავალებებით მუშაობა ხელს შეუწყობს, რომ შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

რჩევა *- სასურველია, სკოლას გააჩნდეს შეფასების ერთიანი ინსტრუმენტები, რომელზეც სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი იქნება შეთანხმებული (ესთეტიკა)*

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სკოლის დირექცია და სკოლის შეფასების ჯგუფი ჩართულია შეფასების სისტემის მონიტორინგში. ხდება მოსწავლეთა შეფასების ანალიზი, კათედრა აანალიზებს შემაჯამებელ დავალებებს. ამ ეტაპზე სასკოლო სასწავლო გეგმა, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, არეგულირებს და განსაზღვრავს შეფასების ძირითად პრინციპებს და აკადემიურ პერსონალს სთავაზობს შეფასების სხვადასხვა სახის რუბრიკას. სკოლა გამოხატავს მზაობას ახლო მომავალში აამუშაოს შეფასების სისტემის ვერაფიკაციის ახალი მექანიზმი.

სკოლა ვერიფიკაციის მექანიზმში გეგმავს დაინტერესებული მხარეების ჩართვას: - დირექცია, შეფასების ჯგუფი, გაკვეთილზე დასწრებით დააკვირდება სხვადასხვა დავალების შეფასების შესაბამისობას ნამუშევართან. ასევე გამოყენებული იქნება კრიტიკული მეგობრის სტრატეგია და მშობელთა მოსაზრებები.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 05.08.2023-18.10.2023 სკოლაში შემუშავდა შეფასების სისტემის ვერფიკაციის მექანიზმი, რომელიც ასევე წარმოდგენილია მტკიცებულების სახით.

<u>ინდიკატორია დაკმაყოფილებულია.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლა აწარმოებს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ მტკიცებულებების/ ინფორმაციის აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობის შესაბამისად (2013 წლის 22 აგვისტოს 113/ნ ბრძანება) , რაც მტკიცდება ინტერვიუებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე. მოწესრიგებულია მოსწავლეთა პირადი საქმეები და შეტანილი არის წლიური ნიშნები. ხდება ელექტრონული ჟურნლის წარმოება . შემაჯამებელი დავალებები/ ანალიზის ფორმები ინახება სკოლის კათედრებზე. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ;
- პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგები
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023 წლები.
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.
- საბაზო საფეხურის საგნების კომპლექსური დავალებები.
- საბაზო საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- საგნობრივი ოქმი (რესურსი N12)
- კათედრის ოქმი.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
2. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
3. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური, მოსწავლეზე ორიენტირებული უსაფრთხო, სამუშაო, თანამშრომლობითი, მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო სასწავლო პროცესში. საბაზო საფეხურზე მოქმედ საგნობრივ კათედრებს და კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობა პოზიტიურ და კეთილგანწყობილ გარემოში ხორციელდება. ხელშემწყობ ფაქტორებს წარმოადგენს: შემოქმედებითი კომპლექსური ბუნების დავალებები, საინტერესო რესურსები; სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. წლის დასაწყისში ერთად შეიმუშავებენ სასკოლო სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციულ და კონცეპტუალური საკითხებს. მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს ნაწილია დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, შემუშავების და კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა. იგივეს ადასტურებს პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მაგალითად სახელმწიფო ენის პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოჩნდა, რომ სახელმწიფო ენის საბაზო საფეხურის კათედრა სკოლის სხვა კათედრებთან ერთად ჩართულია სკოლისა და საკუთარი კათედრის სასწავლო პრიორიტეტების განსაზღვრაში. ასეთი ურთიერთდამოკიდებულება სავარაუდოდ ასახვას ჰპოვებს პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის პროცესში და ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აკადემიური შესაძლებლობებისა და ფუნქციურ-კომპეტენტური უნარების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სკოლის თვითშეფასების კითხვარის თანახმად და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სკოლაში გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროება, ზრუნვასა და თანასწორობის პრინციპზე არის აგებულ უსაფრთხო გარემო. მოსწავლეები თავად ირჩევენ და განსაზღვრავენ საკუთარ ჩართულობას სასწავლო პროცესში, რაც დადებითად აისახება მათ აკადემიურ მიღწევებში. პროცესის კონსტრუქტივისტული მეთოდიკით დაგეგმვა გააძლიერებს მოსწავლეთა მოტივაციას. პედაგოგები აღნიშნავენ, მოსწავლეთა დაინტერესებას ისეთი დავალებებით, რომლებიც უკავშირდება მათ ცხოვრებისეულ გამოცდილებას. ამიტომ პედაგოგები საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესის წარმართვისას ცდილობენ შეარჩიონ ისეთი თემები და კონტექსტმაგალითები, რომლებიც მოერგება მოსწავლეთა პიროვნულ, ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და მათ აკადემიურ შესაძლებლობებს.
სკოლის მიერ წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმა ადასტურებს, რომ სკოლა ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე. მოსწავლისათვის შეთავაზებული კომპლექსური ბუნების დავალებები საშუალებას მისცემს მათ გამოავლინონ ავტონომიურობა, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაციის უნარი.

საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები, მაგალითად, აღნიშნავენ, რომ თანამშრომლობენ კურიკულუმებზე, შეფასების რუბრიკებზე მუშაობისას, ერთობლივად აფასებენ და რეფლექსიის საფუძველზე იღებენ სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებელ გადაწყვეტილებას. რომ მომდევნო სასწავლო წელს მოსწავლეების მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება და მასწავლებლების პედაგოგიკური საჭიროებების დადგენა მოხდება თემატურ მატრიცაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაყრდნობით. მასწავლებლების მზაობა ამ საკითხების მიმართ ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ სწავლების საბაზო საფეხურზე კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. პედაგოგები არჩევენ სასწავლო მეთოდებს, სწავლების ფორმებს, სტრატეგიებს, რომლებიც სწავლების პროცესში ეფექტიანია. ***<u>ინდიკატორია დაკმაყოფილებულია.</u>***

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სკოლის თვითშეფასებიდან, გასაუბრებიდან, კათედრების ოქმებიდან ირკვევა, რომ სკოლა სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს შექმნას პირველ რიგში ცდილობს მასწავლებლებს შორის თანამშრომლობითი და მხარდამჭერი გარემოს ფორმირებით. მაგალითად, პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევების და პრობლემების გადასაწყვეტად. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, სხვა კათედრების მასწავლებლები თანამშრომლობენ კურიკულუმებზე, შეფასების რუბრიკებზე მუშაობისას, ერთობლივად აფასებენ და რეფლექსიის საფუძველზე იღებენ სასწავლო პროცესის განვითარებაზე ორიენტირებულ გადაწყვეტილებას. ამასთან ერთად, კათედრაზე შეხვედრებისას ანალიზდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობა, კონკრეტული გამოწვევები და პრობლემები. კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ ინდივიდუალურ გამოცდილებას ამა თუ იმ კლასში კომპლექსური დავალების განხორციელებისას წამოჭრილი პრობლემების შესახებ. კათედრების მუშაობა ეფუძნება კათედრის წევრებს შორის საუკეთესო გამოცდილების გაზიარებას, თანამშრომლობას როგორც კათედრის შიგნით ასევე კათედრებს შორის, წარმატების წინაპირობათა განსაზღვრას, კათედრის როგორც გუნდის ფუნქციონირებას, მშობლებთან აქტიურ კომუნიკაციას. სკოლაში არსებობს მშობლებთან პოზიტიური თანამშრომლობითი კულტურა.

სწავლების საბაზო საფეხურზე სკოლაში თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას ხელს უწყობს ფორმალური და არაფორმალური განათლების კუთხით მუშაობა. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში აქვთ თანამშრომლობითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გარემო. სასწავლო წლის განმავლობაში სისტემატურად ხდება გამოცდილების გაზიარება, უკუკავშირი, მსჯელობა არსებულ პრობლემებსა თუ მიღწევებზე, გასაუმჯობესებელ მხარეებზე, აღნიშნულის გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესს და კოორდინირებულად მუშაობენ. მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მშობლებს შორის არსებობს სისტემატური კომუნიკაციის გამოცდილება, რაც მიუთითებს სკოლაში არსებულ თანამშრომლობით კულტურაზე. **ინდიკატორია დაკმაყოფილებულია.**

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლის ადმინისტრაცია, თანამშრომლები, პედაგოგები სკოლაში ქმნიან უსაფრთხო და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ გარემოს. ბავშვების ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება თემატური ღონისძიებები. ყურადღება ექცევა პედაგოგთა და მოსწავლეთა საინტერესო აქტივობების წახალისებას.

მასწავლებლებთან გასაუბრებისას ჩანდა კოლეგებს შორის პოზიტიური დამოკიდებულება. სკოლის შიდა და გარე სივრცე კარგად არის მოწყობილი და მეტწილად შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. იგრძნობა სკოლის ადმინისტრაციის მზაობა პრობლემური საკითხების სათანადო დონეზე გადაჭრისთვის. სკოლაში არსებული და მოქმედი შინაგანაწესი, ხელმძღვანელობის დამოკიდებულება სასწავლო პროცესისა და პედკოლექტივის მიმართ უზრუნველყოფს პოზიტიური და მეგობრული გარემოს შექმნას როგორც სკოლის, ისე კლასის დონეზე. მისიისა და ხედვის შემუშავებაში თემის ჩართულობა, შემუშავების და კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა, ანგარიშვალდებულება სასკოლო საზოგადოების წინაშე, სკოლის განვითარებაზე ერთობლივი პასუხისმგებლობა და ზრუნვა გაზრდის თემის და სრულიად სასკოლო საზოგადოების ურთიერთნდობას, პატივისცემას, მხარდაჭერას. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მტკიცებულებები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგები
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023 წლები.
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის დაწყებით საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.
- კომპლექსური დავალებები.
- საგნობრივი კათედრების ოქმები
- შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმა;
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის შინაგანაწესი.

სასკოლო სასწავლო გეგმა; სადამრიგებლო პროგრამა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

საბაზო საფეხურის კურიკულუმის მონიტორინგი შეფასება განხორციელდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად; სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება სამი მიმართულებით: 1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; 2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება; 3. სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინსტიტუციური განვითარება. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საგნობრივმა კათედრებმა შეარჩიეს დიაგნოსტირების მეთოდები, რომელთა შედეგების გაანალიზებით მოხდება კურიკულუმის განვითარებაზე ზრუნვა
მაგალითად, ესთეტიკის მიმართულებით დიაგნოსტირებისთვის შერჩეულ იქნება ინსტრუმენტი „საკლასო წერა"; დიაგნოსტირება ჩატარდება წელიწადში ორჯერ პროცესებში დინამიკის დასანახად; გამოიკვლევენ მასწავლებელთა პროფესიულ საჭიროებებსა და მონაცემთა ანალიზის საფუძველზე დაგეგმავენ შემდგომ ნაბიჯებს, მოახდენენ მშობელთა გამოკითხვას ანკეტირებისა და ინტერვიუების საშუალებით და გაითვალისწინებენ მათ დამოკიდებულებებს. ზემოთ ნათქვამი ადასტურებს, რომ სკოლას გააზრებული აქვს და გამოხატავს მზაობას კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად წარმართონ.
მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლიდან მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის თანამშრომლობასთან. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება სამი მიმართულებით:

- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება სწავლის პროცესში დაგროვილი ხარვეზების გამოსავლენად ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით;
- სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება
- სკოლის ინსტიტუციური განვითარება.

მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში იგეგმება განხორციელდეს იმ ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების იდენტიფიცირება, სადაც შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობაა. ასევე მონიტორინგის მიზანი იქნება მასწავლებელს დაეხმაროს კურიკულუმის განხორციელებისას წარმოქმნილი პრობლემების იდენტიფიცირებაში ან მოიკვლიოს ის მატერიალური საჭიროებები, რომელიც აუცილებელია კურიკულუმის განვითარებისთვის და მისი შეძენით უზრუნველყოს მასწავლებლის მხარდაჭერა. კრიტიკული მეგობარი, ურთიერთდასწრება, გამოცდილების გაზიარება, მუშაობა მცირე ჯგუფებში - ეს ის აქტივობებია, რომელსაც სკოლა გეგმავს განახორციელოს სასკოლო საზოგადოების მხარდასაჭერად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელსაც ევალება პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.
სასკოლო საზოგადოება მომართულია ერთმანეთის დახმარებასა და მხარდაჭერაზე, ეს კი საწინდარია იმისა, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესიც იმავე მიზანს მოემსახურება. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

კურიკულუმის შემუშავების პროცესი ციკლურია და ამაში მოიაზრება მონიტორინგი და შეფასება, როგორც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალება. „სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით“, კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად;
- კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე;
- სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე;
- კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს;

როგორც მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან ხდება ნათელი, მონიტორინგის და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე განხორციელდება კურიკულუმის რევიზია და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც სასკოლო საზოგადების პრიორიტეტებზე იქნება ორიენტირებული. მაგალითად, როგორც გასაუბრებით გაირკვა საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერების მასწავლებლები პრობლემის მონიტორინგისა და შეფასების შემდეგ გეგმავენ კონკრეტულ ნაბიჯებს მომდევნო სასწავლო წლისთვის. შემაჯამებელი წერები გაანალიზებით და დიაგნოსტიკური შეფასებების საშუალებით მოხდება გაუმჯობესებების დანახვა და პრობლემების გადაჭრის გზების შემუშავება. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ;
- პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგები
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023 წლები.
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.
- კომპლექსური დავალებები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

სასკოლო კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, როგორც მეთოდოლოგიის ინსტრუმენტში არის აღნიშნული ინფორმაციის შეგროვება ხდება სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისაგან: ინფორმაცია გროვდება პედაგოგებზე დაკვირვების გზით, მათი პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით, მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებაში მიმდინარეობს სკოლის ინსტიტუციური განვითარების კვლევა თანამშრომლობითი პროცესების გაღრმავების მიზნით. შეფასების პროცესში ჩართული არის სკოლის კათედრები, დირექცია, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას და სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით: მოსწავლეთა შესახებ ინფორმაცის შეგროვება ხდება მრავალფეროვანი წყაროებიდან: მოსწავლე, თანატოლი, მშობელი, მასწავლებელი, დამრიგებელი. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

რჩევა *- სასურველია, არჩეული, შემუშავებული და გამოყენებულ იქნას შეფასების ინსტრუმენტები არა მხოლოდ ცალკეული მოსწავლისა თუ კლასის მიღწევებისა თუ პრობლემების გამოსავლენად, არამედ - სასკოლო მასშტაბით, ჩატარდეს კვლევები გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით, შედგეს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები მოსწავლეთა თვითშეფასებისთვის, მასწავლებელთა თვითრეფლექსიისთვის, საჭიროებების გამოსაკვეთად და შემდგომი ინტერვენციების დასანერგად. (ესთეტიკა)*

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

სასკოლო კურიკულუმის შეფასება ხორციელდება მრავალფეროვანი კონტექსტების გათვალისწინებით. როგორც კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში არის აღნიშნული, დოკუმენტის განვითარების პროცესში სხვადასხვა მხარე არის ჩართული: მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები, დირექცია. მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, გამუდმებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

უნდა ხდებოდეს აღწერა რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს შედეგი, კათედრის წევრები და დირექციის თანამშრომლობით; აქცენტი უნდა კეთდებოდე რამდენიმე მნიშვნელოვან მიმართულებაზე: ინსტიტუციური განვითარება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, შედეგების დიაგნოსტირება და ა. შ .
სასკოლო სასწავლო გეგმაში ნათქვამია, რომ სკოლა მოსწავლეთა შეფასებისთვის იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ასევე პედაგოგებთან განხორციელებულმა ინტერვიუებმა გამოვლინა სკოლის მზაობა, კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესი ხორციელდებოდეს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით და მისი მიზანია მოსწავლეთა და მასწავლებელთა საჭიროებების გამოკვეთა და შემდგომი ინტერვენციების დანერგვა. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

რჩევა- *სასურველია კურიკულუმის შეფასებისთვის შეირჩეს ან შეიქმნას და გამოყენებულ იქნას შესაბამისი ინსტრუმენტები მოსწავლეთა შეფასებისთვის, რომელიც მიმართული იქნება გრძელვადიანი მიზნებისკენ, მოსწავლეთა თვითშეფასების, მასწავლებელთა თვითრეფლექსიისთვის, მოსწავლის, კლასის, სკოლის დონეზე (ესთეტიკა)*

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი ინფორმაციის შეგროვების მიზნით: დაკვირვება, დიაგნოსტირების მეთოდების გამოყენება, კურიკულუმის მეთოდოლოგიით განსაზღვრული არის სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათგან უკუკავშირის მისაღებად სხვადასხვა არხების გამოყენება: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სკოლის facebook ბეჭდვითი სიტყვა, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა *- კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ისეთი ინსტრუმენტი, როგორიცაა ე.წ. „Lesson Study“ , რომელიც გულისხმობს მოსწავლეებზე დაკვირვებას, მოსწავლეთა ინტერვიუირებას, შესრულებულ დავალებათა ანალიზს, მონაცემთა სისტემატიზაციას, პრობლემების იდენტიფიცირებას, იდენტიფიცირებული*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პრობლემების მნიშვნელოვნების დადგენასა და მათ გადასაჭრელად ინტერვენციების დაგეგმვას. ასევე კომპლექსური დავალებების ანალიზს, თემატურ მატრიცებზე ერთობლივ მუშაობას და სხვ.(ესთეტიკა)

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

კურიკულუმის მეთოდოლოგიის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმის შეფასების პროცესში ურთიერთდაკავშირებულად, სხავადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით ხდება კურიკულუმის დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. კვლევის ინტერესი არის შემდეგი მიმართულებები:

- მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება ესგ-ს დანერგვის პროცესში არსებული ხარვეზების გამოსავლენად და გადასაჭრელად.
- პედაგოგის პროფესიული საქმიანობის პროცესში გამოვლენილი პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის საკითხი.
- თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში.

შესაბამისად კვლევის ორიენტირი მოიცავს განსხვავებული კონტექსტებიდან ინფორმაციის შეგროვებას, და მრავალფეროვანი ფაქტორების გათვალისწინებას შეფასების პროცესში.

სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში ჩანდა რომ დაწესებულება გეგმავს კურიკულუმის შეფასებისას გაითვალისწინოს სხვადასხვა ფაქტორი: მოსწავლის აკადემიური დონე, მოსწავლის განვითარების დინამიკა, განვითარების პროცესი. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>***

რჩევა *- კურიკულუმის შეფასებისას გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები: რამდენად ემყარება სწავლა-სწავლების პროცესი კონსტრუქტივისტულ პრინციპებს, რამდენად პოზიტიური გარემოა შექმნილი საკლასო ოთახში - მოსწავლის საჭიროებები რამდენადაა გააზრებული მასლოუს „მოთხოვნილებათა პირამიდის“ მიხედვით (ფიზიოლოგიური, უსაფრთხოების, სოციალური, პატივისცემის მოთხოვნილებები), რამდენად მკაფიოა და ცხადი კომპლექსური დავალების პირობა, რამდენად ადაპტირებულია სასწავლო რესურსები, რამდენად უწყობდა ხელს სხვადასხვა აქტივობები ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას. (ესთეტიკა)*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ;
- პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგები
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023 წლები.
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

როგორც სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიიდან ჩანს, კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; კურიკულუმის რევიზიისას გათვალისწინებული იქნება წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზის შედეგები, თუ რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს. თითოეული ზემოჩამოთვლილი საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად და რეკომენდაციების პაკეტს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის გასაახლებლად.
თვითშეფასების მიხედვით, სკოლა გეგმავს მოსწავლის პორტფოლიოს შექმნას და აქვს სურვილი ის კურიკულუმის განვითარების და მოდიფიცირების ინსტრუმენტად აქციოს. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

კურიკულუმის დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, ახალი კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა წლის სასკოლო კურიკულუმს დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

- მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების პროცესში მათი მონაწილეობის საკითხს.
- მოსწავლეთა შედეგები, რომელიც შეეხება წინა სასწავლო წელთან მოსწავლეთა მიღწევებში არსებულ ცვლილებებს.
- მშობლების ჩართულობა, კერძოდ რამდენად გაიაზრეს მათ სკოლის ფილოსოფია, მისი დაკავშირება საკუთარ შეხედულებებთან და პრიორიტეტებთან.
- კათედრები, მასწავლებელთა შორის თანამშრომლობის დანერგვის საკითხები.
- სკოლის დირექცია: სასწავლო პროცესის დაკავშირება სკოლაში მიმდინარე და მმართველობით პროცესებთან და სხვ.

სკოლის თვითშეფასებაში ასევე აღნიშნული არის , რომ ახალი კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინებენ წინა გამოცდილების ანალიზს და ასახავენ ახალ დოკუმენტში. ***<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .</u>***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ;
- პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023 წლები.
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.
- კომპლექსური დავალებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი: 18.08.2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

დავით ჩივაძე

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ნანა სარალიძე

ლალი ნადირაძე

სოფიკო სიუკაევა

ხათუნა ფანცულაია

ნანა ჩარკვიანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მარინე ჩიტაძე

ნიკოლოზ ჩუბინიძე

სერგო დურგლიშვილი

ელენე ბეთლემიშვილი

ქეთევან ქობალია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---